# სარბიელი

სპორტული გაზეთი   სამშაბათი 8 თებერვალი 2005 №26 (2349)   ფასი 50 თეთრი



## ჩელსი კომისიის წინაშე

კანონის დამრღვევი ქულებით დაისჯება

6



## ფრენით მოარული

ლეგენდა წავიდა

13



## ჭიდაობაში ნაკრებში შტატი გაზარდა

ბეგი დარჩია ბაკურიანში წამყვანი სპეციალისტია

14



[illegible] კოთილაძის ფოტო

# საქართველომ ლიტვას დაახვედრა ლიტვა

ლიტვა საქართველოს მეგობარი ქვეყანაა, პოლიტიკოსები ასე იტყვიან-ხოლმე. პოლიტიკა იქით იყოს და, საფეხბურთო საქართველოს ძმობილი ნამდვილად ეთქმის ლიტვას. 1990 წელს სწორედ ლიტვა იყო საბჭოთა ფეხბურთისგან გამოყოფილი საქართველოს ნაკრების პირველი და ისტორიული მეტოქე. თბილისური მატჩი ძმური 2:2-ით დასრულდა. საქართველოსთვის ლიტვა ასევე პირველი მეტოქე იყო ფიფა-უეფაში გაწევრიანების შემდეგ. მაშინ კაუნასი და 1:0 ლიტველთა სასარგებლოდ, მასპინძელთა მწვრთნელი კი ალგიმანტას ლიუბინსკასი გახლდათ, ვინც სტუმრებს გუშინაც ნაკრების მწვრთნელის რანგში ჩამოუძღვა. იყო ორი ოფიციალური თამაშიც... ხვალ კი ისევ ამხანაგურია, ლიტვა გვესტუმრა, ამინდიც ლიტვურია...



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალგიმანტას ლიუბინსკასი



ედგარას ჩესნაუსკისი



ედგარას იანკაუსკასი



# ლიტვა ჰაერში: საქართველო ნულს ქვემოთ

## ვინ დარჩა კაუნასში?!

საქართველოს ნაკრების ხვალინდელი მეტოქე ლიტვა დათოვლილ თბილისს გუშინ საღამოხანს ესტუმრა და აეროპორტიდან ვერაზე მდებარე სასტუმრო „ვარაზამდე" მისვლას დაახლოებით იმდენი დრო მოანდომა, რამდენიც კაუნასიდან აქამდე ფრენას. კახეთის მოყინულმა გზატკეცილმა ლიტვური ავტოკორტეჟი ფეხოსნის ტემპით ატარა. ისე, ერთ ციცქნა ლიტვაში ვინც ფეხბურთს თამაშობს და ფეხბურთთან რამენაირ კავშირშია, მგონი, ახლა ყველა თბილისშია. ბალტიისპირელები 115-კაციანი დელეგაციით გვესტუმრნენ და „ვარაზის" გარდა, სადაც ეროვნული გუნდი გაჩერდა, „ვერე პალასიც" თითქმის მთლიანად დაიკავეს. ეროვნულ-ახალგაზრდულ ნაკრებებს თან თხუთმეტამდე ჟურნალისტი, ქომაგები და ფედერაციის ჩინიანი თუ უჩინო მუშაკები ახლავან.

...თბილისში ექვსის ნახევარზე ჩამოფრენილი ლიტვის ნაკრები „ვარაზს" რვისთვის მოადგა. ვერ ვიტყვით, სტუმრები ამინდით გაოცებულნი იყვნენო, თუმც თბილისური თოვლი და ყინვა მათთვის მოულოდნელი რომ იყო, ეს ლიტველთა მწვრთნელს ალგიმანტას ლიუბინსკასს სასტუმროში შემობიჯებისთანავე სახეზე ეწერა:

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისთვის ვილნიუსის „ჟალგირისს" ყოველ ზამთარს ადლერში ვამზადებდი. ყოველთვის მზე და სითბო იყო და ისე ვიცი, რომ ყინვა თბილისშიც იშვიათობაა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ქალაქში, რომელიც ძალიან მიყვარს და კარგი დრო მიტარებია, ასეთი ამინდი დამხვდებოდა. თბილისში თოვლი არც მახსოვს. ახლა კი აქ ნაღდი ლიტვური ამინდია. იმედი ...ქვს, თამაშის დღეს გამოიდარებს — გვითხრა ალგიმანტას ლიუბინსკასმა, რომლის გაწვრთნილმა ლიტვის ნაკრებმა 1992 წლის 2 სექტემბერს ფიფა-უეფაში გაწევრიანებულ ქართველებს პირველივე მატჩში, კაუნასში, 1:0 აგემა. ამ თამაშის გარდა კი ხვალინდელ მეტოქეებს სამჯერ უთამაშიათ. საქართველოს ნაკრებმა სულ პირველად სწორედ ლიტვასთან, თბილისში 1990 წელს 2:2 ითამაშა, შემდეგ კი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენებმა ბალტიისპირელები ორჯერ დაამარცხეს: იმავ კაუნასში 4:0, თბილისში — 2:0.

ხვალ ამ გუნდების მეხუთე, ამხანაგური, მაგრამ, ვფიქრობ საკმაოდ საინტერესო მატჩია. სტუმრები შესარჩევ ჯგუფში ბოსნიასთან თამაშისთვის ემზადებიან, ჩვენები ერთბაშად ორი გადამწყვეტი თბილისური შეხვედრისთვის — საბერძნეთთან და თურქეთთან.

რას ფიქრობენ ლიტველები ქართველებთან მატჩის წინ?

*ალგიმანტას ლიუბინსკასი:*

— საქართველოს ნაკრებთან თამაში მეგობრობის გარდა ერთი, წმინდა საფეხბურთო მოსაზრების გამო გადავწყვიტეთ. ჩვენ ბოსნიასთან მეტად პრინციპული მატჩი გველის. ბოსნია კი იმ იუგოსლავიური სკოლის გუნდია, რომელიც მეტნაკლებად ქართულს ჰგავს. ჩვენ მეტოქედ ისეთი გუნდი გვჭირდებოდა, რომელიც ინდივიდუალურად ძლიერია და იმპროვიზაციის უნარი აქვს. ჰოდა, ვფიქრობ, ბოსნიასთან მატჩის წინ ქართველებთან გაჯიბრება ლიტვის ნაკრებისთვის სასარგებლო იქნება. ვიდრე საქართველოსთან თამაშს გადავწყვეტდით, ჩვენ აზერბაიჯანი, თურქეთი და გერმანია გვიწვევდნენ, მაგრამ, უკვე გითხარით, რის გამოც ქართველებთან ვისურვეთ, შეხვედრა.

*ედგარას იანკაუსკასი, „ნიცა", ლიტვის ნაკრების ლიდერი:*

— საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდი რომ არის, ეს საკამათო არ უნდა იყოს. ჩვენთვის სასარგებლოა ქართველებთან თამაში... ისე კი, ამინდმა გამაკვირვა, თვითმფრინავში თბილისური ტემპერატურა რომ გვაცნობეს, ნახევარი გუნდი ლამის შოკში ჩავარდა, საქართველოში ნულს ქვემოთ ტემპერატურას ნამდვილად არ ველოდით.

— **ამხანაგური მატჩისგან რას ელით?**

— ბოსნიასთან თამაშისთვის კარგი რეპეტიცია იქნება.

— **ქართველებისგან ყველაზე მეტ ხიფათს ვისგან ელით?**

— ვერ გეტყვით, ჩვენ მხოლოდ ტრავმების გვეშინია. კარგი იქნება, თუ მართლაც ამხანაგური მატჩი იქნება და ერთმანეთს არ დავაშავებთ.

— **ერთ ქართველ ფეხბურთელთან კი მეგობრობთ...**

— სად არის დემეტრაძე, როგორაა? გიორგი ჩემი მეგობარია, დიდ პატივს ვცემ, კარგი ადამიანია. მის გარდა კი კახა კალაძესაც ვიცნობ.

*ედგარას ჩესნაუსკისი* ერთი კვირის წინ მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი იყო, შვიდ დღეში კი „კაუნასში" გადასვლა და მერე შოტლანდიურ „ჰართსთან" კონტრაქტის გაფორმებაც მოასწრო:

— ბევრს ვერაფერს გეტყვით, მიხარია, რომ თბილისში ჩამოვედი და ჩემს მეგობარ ქართველ ფეხბურთელებს ვნახავ. ამინდი მთლად ისეთი არ დაგვხვდა, როგორსაც ველოდით, მაგრამ ეგ არაფერი, მთელი ძალით ვითამაშებთ.

**ძობა ინასარიძე**

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XX ტური

ბურგჰაუზენი 2:1 დინამო

### იტალია

სერია B. XXV ტური

ჩეზენა 1:0 პიაჩენცა

ტორინო 2:0 ბარი

სერია C1/B. XXII ტური

ნაპოლი 2:0 რეჯინა

### პორტუგალია

სუპერლიგა. XX ტური

სეტუბალი 0:0 ბოავიშტა

### მექსიკა

კლაუსურა. IV ტური

სანტოსი 4:2 ტეკოსი

### თურქეთი

სუპერლიგა. XIX ტური

ისთანბული : ანკარაგიუჯიუ გადაიდო

გუშინ მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი ჯემალ ჩიმაკაძე.

„ლოკომოტივი" ტრაპიზონიდან თბილისში ბრუნდებოდა და ჩიმაკაძეს მატარებელში უმტყუნა გულმა.

ჩიმაკაძეს არაერთი კეთილი საქმე გაუკეთებია ქართული ფეხბურთისთვის და კიდევ ბევრს ეშურებოდა, მაგრამ...

სარბიელელები მწუხარებას გამოვთქვამთ ჯემალ ჩიმაკაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ მის ახლობლებს.



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის ჯემალ ჩიმაკაძის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

თბილისის „დინამო" მწუხარებას გამოთქვამს თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის ჯემალ ჩიმაკაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა მწუხარებას გამოთქვამს თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის ჯემალ ჩიმაკაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

თბილისის „დინამო" თანაუგრძნობს გუნდის ექიმს დიმიტრი ზაალიშვილს დედის გარდაცვალების გამო

## ალენ ჟირესი: მე უკრაინის ქომაგი ვარ

# გაძლევთ ნახევარ საათს

## ქინქლაძე თავის ადგილზე, მაღრაძემ კი წესები ისწავლოს

**სალიტვოდ შეკრებილ საქართველოს ნაკრებს გუშინ ექვსი ფეხბურთელი შეუერთდა — მალხაზ ასათიანი, მიხეილ აშვეთია, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით ოდიკაძე, ლაშა სალუქვაძე და გოგიტა გოგუა — და საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ერთხელაც ივარჯიშა, მანამდე კი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა სასტუმრო „ბატესტაში“ პრესკონფერენცია გამართა.**

**მუსიე ჟირესი კვლავ „ადიდასში“ გახლდათ გამოწყობილი და არა „პუმაში“, თუმც ფეშენ-ჟირესი ალბათ უკვე ნაკლებად აქტუალურია, რადგან ჟირესის ადიდასობას ჩვეულნი ვართ...**



„მეტეოროლოგიური პირობები ხელს არ გვიწყობს, მაგრამ მაინც შევეცდებით, სრულფასოვნად ვივარჯიშოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლიტვასთან მატჩისთვის ფიზიკურად კარგად ვიყოთ მზად“ — ასე დაიწყო პრესკონფერენცია ჟირესმა და მართლაც, ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა უმეტესობის კლუბებს ახლა მოსამზადებელი პერიოდი უდგათ და მათი კონდიციების სალიტვოდ მომართვა უმნიშვნელო როდია. ჟირესმა ისიც დასძინა, რომ ეს მატჩი მას მხოლოდ ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად როდი სჭირდება, კარგ შედეგსაც უნდა მივაღწიოთო.

„ახლა ნაკრებში ბევრი ისეთი ფეხბურთელია, ჩემს ხელში საერთოდ რომ არ უთამაშიათ. თითოეულ მათგანს დიდი ამბიცია უნდა ჰქონდეს ნაკრებში დასამკვიდრებლად“ — განაცხადა ჟირესმა.

„მატჩში რამდენი ფეხბურთელის შეცვლა შეგვეძლება, ეს ლიტვის ნაკრების მწვრთნელთან უნდა შევათანხმოთ. ფიფას წესებით კი, ამხანაგურ მატჩში მაქსიმუმ ექვსი შეცვლა შეიძლება. ყველა ფეხბურთელს ერთნაირ სათამაშო დროს ვერ მივცემთ, თუმც შევეცდებით, რომ თითოეული მოთამაშე ნახევარი საათით მაინც შევუშვათ მოედანზე“ — განგვიმარტა ჟირესმა და აღარ დაუკონკრეტებია, რომ შეკრებაზე მყოფ 18 ფეხბურთელიდან ერთი საერთოდ ვერ შეძლებს ლიტვასთან თამაშს — არითმეტიკა და ფიფას წესი ამის საშუალებას არ იძლევა.

ჟირესმა სალიტვოდ ბერძნული „ქსანთის“ მცველ ლევან მაღრაძეს კი უხმო, მაგრამ ის ახლა ნაკრებში არ არის. როგორც ჟირესის თანაშემწე გია გურულმა გვითხრა, მაღრაძეს დაურეკავს და მწვრთნელებისთვის უთქვამს, კოჭი დამიშავდა, მაგრამ „ქსანთის“ მწვრთნელის დაჟინებით საბერძნეთის თასზე მაინც ვითამაშე, მერე კი ექიმებმა მითხრეს, რადგან გამაყუჩებლებით ითამაშე, კარგა ხანს უნდა დაისვენოო — ასეთი მიზეზი აქვს ნაკრებში ჩამოუსვლელობაზე მაღრაძეს, რის გამოც ჟირესმა შეკრებაზე რეინჯერსელ ზურაბ ხიზანიშვილს უხმო, მაგრამ ამბავი აქ როდი დამთავრდა — ხიზანიშვილის გამოძახების შემდეგ მაღრაძეს კიდევ დაურეკავს, ჯანზე ვარ და ჩამოვალო, მაგრამ ჟირესს უარი შეუთვლია. „ცალკეულ ფეხბურთელებს ვერ დაველოდებით, ეს ნაკრებია, რომელსაც თავისი წესები აქვს“ — განმარტა ჟირესმა.

მუსიე ალენმა მის გაწვრთნილ საქართველოს ნაკრებში პირველად უხმო 31 წლის გიორგი ქინქლაძეს. „ის ისეთ ასაკშია, რომ კიდევ შეუძლია სანაკრებო დონეზე თამაში, ვიცი მისი საფეხბურთო წარსულიც. ლიტვასთან მატჩში კი კარგად გამოჩნდება, როგორ ფორმაშია ქინქლაძე“ — გვითხრა ჟირესმა, ვისაც ისიც შევახსენეთ, რაც ერთ-ერთ წინა პრესკონფერენციაზე თქვა — ახლა კლასიკური ათი ნომრებით [illegible] შობენო. თუმც გუშინ [illegible] კლედ მოჭრა — ქინქლაძე თავის პოზიციაზე ითამაშებსო.

ხვალ, როცა ჩვენ ლიტვას ამხანაგურად გავეჯიბრებით, ჩვენს შესარჩევ ჯგუფში ალბანეთი უკრაინას უმასპინძლებს. „მსურს, რომ უკრაინამ მოიგოს“ — მტკიცედ თქვა ჟირესმა და ვარაუდიც აღარაა საჭირო — ჟირესს ურჩევნია, ჯგუფის ლიდერი უკრაინა კარგად გამაგრდეს პირველ ადგილზე, ხოლო დანარჩენებმა მეორე ადგილისთვის იბრძოლონ — ლოგიკა ყველა სტრატეგიას აქვს და იქნებ ჟირესისამ გაამართლოს კიდეც.

ლიტვასთან მატჩში ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ექნება 21 წლის გოგიტა გოგუას, ვინც „თბილისის“ საკუთრებაა, თუმც თბილისის „დინამოს“ მარბელაში გაჰყვა და სანაკრებო შეკრებაზე იქიდან ჩამოვიდა. დარჩება თუ არა გოგუა „დინამოში“, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ლიტვასთან მატჩს კი ამსტერდამის „აიაქსის“ სელექციონერი რუდი კროლი უნდა დაესწროს გოგუას სანახავად. „თბილისიდან“ ისიც შევიტყვეთ, რომ გოგუას ლიტვასთან ვინძლო, ბუნდესლიგური „შალკეს“ წარმომადგენელიც დააკვირდეს.

„ლიტვასთან თამაშზე რუდი კროლი რომ აპირებს ჩამოსვლას, ეს სულაც არ შემბორკავს, პირიქით, ეს ჩემი ცხოვრების შანსია და ყველანაირად ვეცდები, ვანახო კროლს, თუ რა შემიძლია“ — გვითხრა გოგუამ.

რაც შეეხება ნაკრების ვარჯიშს, საათნახევრიანმა წვრთნამ დათოვლილ საფარზე ჩაიარა, სწორედ ნაკრების „ოლიმპზე“ მისვლის შემდეგ იმატა ფანტელებმა. არ ევარჯიშია კუნთდაჭიმულ ზურაბ მენთეშაშვილს.

ხალისიანი ვარჯიში იყო, რომელიც ორკარიანი დასრულდა. ჟირესი კი ქართულ ლექსიკას იმდიდრებს — მართლაც ერთ რამედ ღირდა მისი „მიახრჩე“, მიახრჩე“!

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ქინქლაძე





მიხეილ აშვეთია

## ათს პლუს ხუთი: სხვები სად არიან?

**ლიტვის** ნაკრებს თბილისში ჩამოჰყვნენ ქართველი ლეგიონერები, ვალერი კაციტაძე და დავით ჭილაძე, რომლებიც ახალგაზრდული ნაკრების დებიუტანტები არიან. კაციტაძე-ჭილაძის გარდა, გოჩა ტყებუჩავას გუნდს გუშინ შეუერთდნენ მოსკოვის ლოკომოტიველი მათე ლვინიანიძე და ქუთაისის ტორპედოელები — თენგიზ ჩიკვილაძე და ნუკრი რევიშვილი. ასე რომ, ჩვენი ახალგაზრდულის ბანაკში ახლა 15 ფეხბურთელია.

შეგახსენებთ, რომ საქართველო—ლიტვის ახალგაზრდული ნაკრებების ჯახი ეროვნულ სტადიონზე 9 თებერვალს 15 საათზე დაიწყება.

ვიყიდი

თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“, ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო პროგრამებს (1936-1973) და საერთაშორისო მატჩების ბილეთებსა და აფიშებს (1972-1987)

ტელ: 8 99 241266

# ცრვენა ზვეზდას ვერც შევედრებით
## ნერგაძემ ტორპედოში მატება დაინახა

**ბოლო** წელიწადნახევარია, ქუთაისის „ტორპედო“ უცხოურ შეკრებას დანატრებული იყო, თუმც საქართველოს ჩემპიონატში და თასზე ქედს არავის უხრიდა და ჯიუტად ამბობდა თავის სიტყვას. თუნდაც ამ ჩემპიონატისა ვთქვათ — მოუმზადებელი გუნდი საქართველოს ჩემპიონატის ეკვატორზე თბილისის „დინამოსთან“ ერთად ლიდერობს. ამ ზამთარს კი ქუთათურებმა გადალახეს და ნანატრი შეკრებაც გაიარეს ანთალიაში, სადაც ოთხი ტესტ-მატჩი გამართეს და გუშინ დაბრუნდნენ იმერეთში.

„ტორპედომ“ თურქულ კურორტზე პირველი შეხვედრა უკრაინულ ლვოვის „კარპატისთან“ 1:4 წააგო (გოლი ლევან მერებაშვილმა გაიტანა), შემდეგ იყო 1:1 რუსეთის პირველლიგელ „ლუჩ-ენერგიასთან“ (მეგრელაძე) და 2:2 ბელარუსულ ბატე-სთან (ნერგაძე, სოსელია), ბოლო მატჩში კი ქუთაისელები სერბეთის ჩემპიონ „ცრვენა ზვეზდასთან“ 1:5 (მეგრელაძე) დამარცხდნენ.



შოთა ბაბუნაშვილის თბილისის „დინამოში“ გადასვლის შემდეგ „ტორპედოს“ ახალი კაპიტანი გია ნერგაძეა, რომელიც ამ სეზონში გუნდის ლიდერადაც ჩამოყალიბდა და საყრდენი ნახევარმცველის კვალობაზე ბლომად გოლებიც გაიტანა. ნერგაძე „ტორპედოს“ ანთალიურ ამბებზე გვესაუბრა:

„ლვოვის „კარპატისთან“ წაგება იმის ბრალიც იყო, რომ ჩვენ ახალი ჩასულები ვიყავით ანთალიაში და მოუმზადებლობამ თავისი ქნა. უკრაინელებმა ფიზიკურად გვაჯობეს და ამით მოგვიგეს. მომდევნო თამაშები შედარებით უკეთ ჩავატარეთ, „ცრვენა ზვეზდასთანაც“ პირველი ტაიმი მხოლოდ 1:2 წავაგეთ. ისე კი, ჩვენ სერბებს ვერც შევედრებით. „ცრვენა ზვეზდა“ ძალიან ძლიერია, სულ სხვა დონეა“.

„ტორპედო“ ქუთაისში გააგრძელებს საქართველოს ჩემპიონატისთვის მზადებას. ნერგაძე იმედიანადაა, წესით, ახლა უფრო კარგ ფორმაში უნდა შევხვდეთ ჩემპიონატს, ვიდრე სეზონის დასაწყისში.

**ილია ნანობაშვილი**



პიერლუიჯი კოლინას გაცნობა ლაშა სილაგავასთვის სიურპრიზი იყო

# სილაგავა ელიტის კართან
## ქართველი მსაჯი კოლინამაც გაიცნო

**ახალგაზრდა** ქართველი მსაჯი ლაშა სილაგავა ამ დღეებში ფრანგულ ნიცაში უეფას მსაჯთა კომიტეტის სემინარზე მიიწვიეს. ეს იყო გაცნობითი ხასიათის სემინარი, რომელიც ყოველ წელიწადს ტარდება და მასში ის მსაჯები მონაწილეობენ, ფიფას არბიტრის წოდება ახლახან რომ მიიღეს.

„ნიცაში სამი დღე ვიყავით. უეფას მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელებმა ფიზიკური ნორმატივები ჩაგვაბარებინეს. ასევე გვქონდა ლექციები ინგლისურ ენაში და ვინც ამ კურსებს ნორმალურად გაივლიდა, ამა თუ იმ საერთაშორისო მატჩებზე ნიშნავდნენ. მაგალითად, მე 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის შეხვედრებზე დამნიშნეს, რომელიც მარტში გერმანიაში გაიმართება. ჩემ გარდა ამ მატჩებზე ერთ-ერთი ქართველი ასისტენტიც წამოვა“ — გვითხრა ლაშა სილაგავამ.

იმ დღეებშივე ნიცაში ტოპ-კლასის მსაჯებთანაც გაიმართა შეხვედრები, ოღონდ პიერლუიჯი კოლინას, მარკუს მერკს და სხვა ცნობილი ცალკე უტარდებოდათ ლექციები, თუმც სილაგავას მათი გაცნობის პატივი მაინც ერგო.

უეფაში ელიტარულად ცნობილ არბიტრებს უმნიშვნელოვანესი საფეხბურთო მატჩების წინ იბარებენ — ამ შემთხვევაში კი ჩემპიონთა ლიგისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებულ შესარჩევ მატჩებზეა ლაპარაკი...

**ილია ნანობაშვილი**

# მთავარი კალაძე და გაუმეტარი მაღრაძე

*ამ უქმეების მთავარი ქართული ამბავი კახა კალაძის გამოჯანმრთელებაა.* იტალიური „მილანის“ ქართველი მცველი უკვე მწყობრშია და გუშინწინ „ლაციოსთან“ მატჩში ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდა. მილანელებმა უმძიმეს ბრძოლაში 2:1 მოიგეს და ლიდერ „იუვენტუსს“ ორი ქულალა აშორებთ, კალაძე კი მწვრთნელმა მე-60 წუთზე შეცვალა.

*დასანანი ქულები დაკარგეს ბუნდესლიგელმა ქართველებმა.* „შალკე“ კერკეტ „ჰანზას“ ოდენ ფრეს გამორჩა — *ლევან კობიაშვილს* ამ მატჩში ყვითელი ბარათების გამო არ უთამაშია. „ფრაიბურგმა“ კი „მიონხენგლადბახთან“ 2:3 წააგო. *ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი* და *ოთარ ხიზანეიშვილი* ძირითადში იყვნენ, „ცქიტომ“ ერთი საგოლე პასიც ჩაიწერა აქტივში.

*მწირ ლეგიონერულ ამბებს უკვე გახმაურებული ცნობით დავასრულებთ* — საქართველოს ნაკრებში გამოძახებულმა და მერე ტრავმის მომიზეზებით არჩამოსულმა *ლევან მაღრაძემ* ორიოდ დღის წინ საბერძნეთის თასზე ითამაშა — მაღრაძის „ქსანთი“ „ეგალეოს“ უგოლოდ დაშორდა და პირველ მატჩში 1:0 მოგებით მეოთხედფინალში გავიდა. „ეგალეოსთან“ მაღრაძემ 90 წუთი ითამაშა და საინტერესო ისაა, რაში დასჭირდა ტრავმის მოგონება.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ლაციო 2:1 | 60 | შეცვალეს | 10 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰანზა 2:2 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 19 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:3 | 76 | შეცვალეს | 19 | 2 | 17 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:3 | 90 | საგოლე პასი | 14 | 1 | 17 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:3 | 45 | შეცვალეს | 3 | 0 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ფიურტი 2:1 | 0 | | 13 | 2 | 8 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | მიუნხენი 2:2 | 0 | | 9 | 1 | 10 |
| **შოტლანდია. ლიგის თასის ნახევარფინალი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | დანდი იუნ. 7:1 | 0 | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | დანდი იუნ. 7:1 | 0 | | | | |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | აიაქსი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 11 |
| **საბერძნეთი. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | ეგალეო 0:0 | 90 | | | | |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | სარიერი 2:0 | 0 | | 6 | 0 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

*თბილისის „დინამომ“ „მარბელას თასის“ მეორე შეხვედრაც წააგო — სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ დარად, დონეცკის „შახტარმაც“ 3:1 დაამარცხა გია გეგუჩაძის გუნდი.*

# 1:3 შახტართანაც ზენიტივით

არადა, „დინამომ“ თამაში რიხიანად დაიწყო და 23-ე წუთზე შოთა ბაბუნაშვილის გოლით დაწინაურდა კიდეც. თბილისელებს ამის შემდეგაც შეეძლოთ გატანა, თუმც არც „შახტარი“ ყოფილა გულხელდაკრეფილი. სახიფათო მომენტების სიუხვე ავდარმაც განაპირობა — ფეხბურთელები კარში ხშირად ურტყამდნენ და მეკარეებსაც დიდი ჯაფა დაადგათ. 39-ე წუთზე ლევანდოვსკის პასით ჟადსონმა გაათანაბრა ანგარიში, 70-ე და 86-ე წუთებზე კი ბრანდაუმ და მატუზალემმა ივარგეს — 1:3.

ტურნირის ბოლო მატჩს „დინამო“ ხვალ გამართავს მოსკოვის „სპარტაკთან“. „შახტართან“ ნათამაშევი შემადგენლობა კი ასეთი იყო: *მახალაძე, სილაგაძე, კაშია, ლ. ჭელიძე, ხმალაძე (კანდელაკი 56), გ. ჭელიძე (მახარაძე 75), ბაბუნაშვილი (ჯამარაული 46), ორბელაძე, ნოზაძე, დვალი, მელქაძე (კაკალაძე 59).*

# ელიავა სკონტოში

**ზაალ ელიავა** „თბილისიდან“ თბილისის „დინამოში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და ელიავა მალე რიგის „სკონტოს“ ფეხბურთელი გახდება.

„სკონტო“ და „თბილისი“ სატრანსფერო თანხაზე უკვე მორიგდნენ, ელიავა კი რამდენიმე დღეში ჩავა ლატვიის დედაქალაქში და კონტრაქტს გააფორმებს.

# ვიტ ჯორჯია ნაგებით გამოფრინდება

**საქართველოს** ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ გუშინ ანთალიაში რუმინულ „ბრაშოვთან“ უნდა ეთამაშა, თუმც ბალკანელები სტამბოლურმა დიდთოვლობამ შეაფერხა და კურორტზე ვერ ჩავიდნენ. ვიტელებმაც უმალ გერმანული რეგიონალლიგის ერთ-ერთი ლიდერ „კობლენცთან“ გაახერხეს ტესტ-მატჩი და მარცხიც იწვნიეს — 0:2. ორივე გოლი პირველი ტაიმის მიწურულს, ორწუთიან მონაკვეთში გავიდა: ჯერ კულმანმა გაიტანა, მერე კი დელიჩმა შეაგდო პენალტი.

„ვიტ ჯორჯიამ“ ასეთი შემადნელობით ითამაშა: *ბედიაშვილი — კვახაძე (სახოკია 67), ინწკირველი, თ. კობიაშვილი — ვ. გოჩაშვილი, პ. დათუნაიშვილი, დიღმელაშვილი, ლ. კვარაცხელია (რაზმაძე 56), გველესიანი — მარცვალაძე, ჩილვინაძე.*

„კობლენცთან“ წაგებით ჯანი კარნევალის გუნდმა ანთალიური შეკრება მოილია და დღეს საღამოს თბილისში დაბრუნდება.

# გადასახადი გადასახედია

## ხალხი ქუჩაში სახიფათოდ გავიდა

*ახალი საგადასახადო კოდექსის იმ მუხლების თაობაზე, რომლებიც ბუქმეიკერულ საქმიანობას არეგულირებს, აქამდეც ვწერდით. თუმცა წინა წერილებში საკითხი, ასე ვთქვათ, ცალმხრივად გვქონდა განხილული — უშუალოდ ბუქმეიკერთა მოსაზრებებსა და საკუთარ დაკვირვებებს წარმოგიდგენდით.*

*კოდექსის ავკარგიანობაზე მსჯელობა უფრო სრულყოფილი რომ გამოგვსვლოდა, გადავწყვიტეთ, სხვათა აზრიც მოგვესმინა და კომენტარები ავტორიტეტულ ექსპერტებსაც ვთხოვეთ...*

მთავარი პრობლემა, რაც ახალი კოდექსით ბუქმეიკერულ საქმიანობას არათუ ართულებს, უბრალოდ, შეუძლებელს ხდის, ამ ბიზნესის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრაა. კითხვა ასე უნდა დაისვას: საერთოდ რატომ ეკისრება ბუქმეიკერს ამ გადასახადის გადახდა?

კოდექსში პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ ბუქმეიკერმა დღგ უნდა გადაიხადოს, მაგრამ იქ წერია, რომ მომსახურება დღგ-თი იბეგრება. კოდექსში არსად წერია, რომ საბუქმეიკერო საქმიანობა მომსახურების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ იქ მომსახურებათა ჩამონათვალში წერია: „და სხვა მომსახურება". ბუქმეიკერს კი ეუბნებიან, თქვენი საქმიანობა ამ გაუგებარ „და სხვაში" იგულისხმებაო.

თავდაპირველად იმით დავინტერესდით, რამდენად გამართლებულია კანონში ამგვარი გაურკვეველი ფორმულირების — „და სხვას" ჩაწერა, რომელიც ჩინოვნიკს კანონის საკუთარი ინტერპრეტაციით განმარტების საშუალებას აძლევს.

ამ კითხვით საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ ავტორს, ვახტანგ ხმალაძეს მივმართეთ.

***ვახტანგ ხმალაძე:*** *კანონში ამგვარი ფორმულირების ჩაწერა სასურველი არ არის, რადგან გაურკვევლობას ქმნის-ხოლმე. თუმცა, მეორე მხრივ, რიგ შემთხვევებში, როცა რაიმე ჩამონათვალთან გვაქვს საქმე, ყველაფრის ჩაწერა ან შეუძლებელია, ან ძალიან ძნელია. ასეთ შემთხვევებში მსგავსი ფორმულირების გამოყენება დასაშვებია. მაგრამ ამავე დროს აბსოლუტურად ზუსტად უნდა იყოს განმარტებული, თუ რა არის მომსახურება. ამავე დროს, რაიმე საქმიანობა შესაძლოა მომსახურების სფეროს კი განეკუთვნებოდეს, მაგრამ რომელიღაც ტიპის გადასახადით არ იბეგრებოდეს. მაგალითად, ასეთია ფინანსური მომსახურება, რომელიც დღგ-თი არ იბეგრება.*

*პრობლემა ისიც არის, რომ კანონებში ყოველთვის არ არის ზუსტად განსაზღვრული, თუ რა არის დასაბეგრი ღირებულება. ვთქვათ, ქონების გადასახადით დაბეგვრისას აუცილებელი მოთხოვნაა თვითონ ქონების არსებობა. ლოგიკურია, რომ თუ ქონება არ არსებობს, ვერ იარსებებს ქონების გადასახადით დასაბეგრი ღირებულებაც. ასევე დღგ-თი დაბეგვრისას აუცილებელი მოთხოვნაა, პროდუქციაზე ან მომსახურებაზე დამატებული ღირებულების არსებობა. შესაბამისად, ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რა არის დამატებული ღირებულება.*

ვახტანგ ხმალაძის კომენტარიდან გამომდინარე, დავინტერესდით, როგორ არის კოდექსში განმარტებული ცნებები „მომსახურება" და „დამატებული ღირებულება".

***დავით ნარმანია,*** *ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია: კოდექსში განმარტებულია, თუ რა არის მომსახურება, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს განმარტება ამომწურავია. მოცემული განმარტებით, მომსახურებად ითვლება საქმიანობა, რომლის დროსაც არ ხდება საქონლის მიწოდება. საბუქმეიკერო საქმიანობის მაგალითზე რომ განვიხილოთ, ბუქმეიკერი და მოთამაშე დებენ ნიძლავს, ანუ საქონლის მიწოდება არ ხდება. მაგრამ ნიძლავის დადების მომსახურებად ჩათვლა სწორი არ არის. ერთი სიტყვით, ორი სუბიექტის ნებისმიერი გარიგება, რომლის დროსაც საქონლის მიწოდება არ ხდება, არ შეიძლება იყოს მომსახურება.*

*რაც შეეხება დამატებული ღირებულების განმარტებას, ის კოდექსში არ არის. საინტერესოა, რომ ძველ კოდექსში მისი განმარტება არსებობდა, ახალში კი ამოღებულია.*

სხვათა შორის, რუსულ საგადასახადო კოდექსში პირდაპირ წერია, რომ სათამაშო ბიზნესი არ არის საქონლის (ქონებრივი უფლებების), სამუშაოების ან მომსახურების რეალიზაცია.

თუ ვინმე იკითხავს, კერძოდ, რომელ მუხლში წერიაო, ვუპასუხებთ: რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კოდექსი, თავი 29, პუნქტი 364.

კარგი, დავანებოთ თავი რუსულ კოდექსს და ქართულ სინამდვილეს მივუბრუნდეთ. რა ხდება საბუქმეიკერო კანტორებში?

***რევაზ ბალათურია,*** *ბუქმეიკერი: მოთამაშეების რაოდენობამ უკვე იკლო და ამის მიზეზი ნათელია — ახალი კოდექსით, მოთამაშე, რომელიც თანხას მოიგებს, იბეგრება. მაგრამ ის, რომ საბუქმეიკერო კანტორებს მოთამაშეები მოაკლდა, არ ნიშნავს, თითქოს ხალხი აღარ თამაშობს. უბრალოდ, მათმა ნაწილმა ინტერნეტით თამაში ამჯობინა, სადაც მოგებული თანხა არ ებეგრებათ. მეორე ნაწილი კი, ასე ვთქვათ, ხელზე დებს ნიძლავს და არც ამ შემთხვევაში იბეგრება. საბოლოოდ რას ვიღებთ — ხალხი იგივე ინტენსივობით თამაშობს, მაგრამ, რაკი საბუქმეიკერო კანტორების გარეთ დადებული ნიძლავების რაოდენობამ იმატა და, ასე ვთქვათ, არ აღირიცხება, ბიუჯეტში ნაკლები თანხა შედის.*

აქ კი მთავარ საკითხს მივადექით. რა მიზანს ემსახურება ახალი კოდექსი?

დამეთანხმებით, ნებისმიერი კანონი რაღაც მიზანს უნდა ემსახურებოდეს. როცა საგადასახადო კოდექსზე ვლაპარაკობთ, მისი მიზანი საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა და ბიზნესის ხელშეწყობა უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკვე ჩანს, რომ კოდექსში ისეთი მუხლებია, რომლებიც საბიუჯეტო შემოსავლებს ვერაფრით გაზრდის, ბიზნესს კი სერიოზულ პრობლემებს უქმნის. და თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, კოდექსის მიზანი სათამაშო ბიზნესის გაკოტრება თუ არა, შევიწროვება ყოფილა. ოღონდ ეს ყველას კარგად უნდა ესმოდეს — საბუქმეიკერო საქმიანობის შევიწროვება სულაც არ ნიშნავს აზარტული თამაშობების შევიწროვებას. უბრალოდ, თუ აქამდე აზარტული თამაშები ლეგალურ, ცივილიზებულ დაწესებულებებში ხდებოდა, ახლა თამაშის, ასე ვთქვათ, ქუჩაში გატანით მისი კრიმინალიზაცია მოხდება.

ძველი კოდექსით, მოთამაშე, რომელიც, ვთქვათ, 1,4-კოეფიციენტზე 100 ლარს დადებდა, მოგების შემთხვევაში 140 ლარს იღებდა ანუ მისი მოგება 40 ლარი იყო. რევაზ ბალათურიას ვთხოვეთ, გამოეანგარიშებინა, თუ რა მოგებას მიიღებდა მოთამაშე, რომელიც იგივე კოეფიციენტზე იგივე თანხას დადებდა, მაგრამ ახალი კოდექსის მიხედვით დაიბეგრებოდა.

გამოთვლამ ასეთი შედეგი მოგვცა: დღგ-ს გადამხდელ ბუქმეიკერთან დადებული 100 ლარიდან 20 პროცენტი დღგ-ს სახით ბიუჯეტში უნდა გადაირიცხოს. შესაბამისად, მხოლოდ 80 ლარი თამაშობს. 80 ლარი 1,4 კოეფიციენტზე რომ გავამრავლოთ, 112 ლარია. ამ თანხიდან მოთამაშე 12-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადითაც უნდა დაიბეგროს, ეს კი 13,44 ლარია. 112 ლარს გამოვაკლებთ 13,44 ლარს და მოთამაშე 98,56 ლარს მიიღებს ანუ 40 ლარის მოგების მაგიერ 1,44 ლარს იქით კარგავს.

რა შეიძლება ეწოდოს ამას? მოთამაშეები ამას ძალიან მოკლე და ზუსტ სახელს არქმევენ, ოღონდ იმ სიტყვის დაწერისგან თავს შევიკავებთ. თუმცა მოთამაშეები სხვა რამესაც ამბობენ.

***ავთო:*** *ხელზე მითამაშია, მაგრამ როგორ არის იცი — წააგებ და, თავი უნდა იმტვრიო, ფული სად იშოვო. მოიგებ და, წაგებულს უნდა სდიო — ან მოგიტანს, ან არა. მოკლედ, საშარო საქმეა. ამიტომ, ტოტალიზატორში თამაში მირჩევნია, ფული რამდენიც მაქვს, იმდენს ვდებ და სასესხებელი არაფერი მაქვს. თუ მოვიგე, ვიცი, რომ უპრობლემოდ მივიღებ. მაგრამ მოგებული ფულის ასაღებად რომ მივალ და მეტყვიან, შენი მოგებული ფული ბიუჯეტმა წაიღო და იქით გაქვს ვალიო, მერედ ტოტალიზატორში რა შემიყვანს. პირადად მე ხელზე თამაშიც აღარ მინდა, ამიტომ, თუ რამე არ შეიცვალა, ავიღებ საკრედიტო ბარათს, შევალ ნებისმიერ ინტერნეტ-კაფეში და ვეთამაშები „უილიამ ჰილს". რა, ვინმე ამიკრძალავს?*

ბოლოს კი ერთ პრობლემაზე ვთქვათ, რომელიც უშუალოდ კოდექსს არ ეხება, მაგრამ ძალიან პრინციპული საკითხია.

ასე იყო: ბუქმეიკერს ჰქონდა საქმიანობის უვადო ლიცენზიას, რომელიც ათასი ლარი ღირდა. ახლა ხელისუფლებას მომზადებული აქვს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, ლიცენზიის მქონე ბუქმეიკერს ყოველწლიურად სამი ათას ლარიანი ნებართვა სჭირდება. აქ კამათი თანხაზე არ არის, მაგრამ რა ხდება: ამ კანონპროექტის თანახმად, ბუქმეიკერი, ახალ ნებართვას რომ აიღებს, ჯერ ღირებულებაში განსხვავების, ორი ათასი ლარის გადახდაც მოუწევს. ბუქმეიკერი როგორმე გადაიხდის იმ ორი ათას ლარს, მაგრამ...

***ბესო აბაშიძე,*** *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: არსებობს ასეთი პრინციპი, რომლის თანახმადაც კანონს უკუქმედების ძალა მაშინ აქვს, თუ ის ძველი კანონის პირობებს ამსუბუქებს. მაგალითად, სისხლის სამართალში, თქვენ ჩაიდინეთ დანაშაული, რომელიც 5-წლიან პატიმრობას ითვალისწინებდა. თუ ამის მერე კოდექსი შეიცვალა და იმ დანაშაულისთვის 3-წლიანი პატიმრობა იქნება გათვალისწინებული, ციხიდან სამ წელიწადში უნდა გამოგიშვან. მაგრამ თუ კოდექსი 7-წლიან პატიმრობას გაითვალისწინებს, თქვენ ხუთ წელს მოიხდით და არა შვიდს. ამიტომ ვთვლი, რომ ამ შემთხვევაშიც, ნახსენები უკუქმედების პრინციპის გათვალისწინებით, როცა საქმე ნებართვის ღირებულებას ეხება, სწორი არ არის, კანონპროექტი ბუქმეიკერისგან განსხვავების დამატებას რომ ითხოვს. ამით სახელმწიფო ბუქმეიკერს, ფაქტობრივად, იმას ეუბნება, ადრე ათას ლარს რომ გთხოვდი, გატყუებდიო.*

თუ თქვენ ქირაობთ ბინას ათას ლარად და გამქირავებელი მოგადგათ, გავაძვირე, 3 ათასად ვაქირავებ და წინა თვეების განსხვავება დამიმატეო, დაუმატებთ?

თუ თქვენ იყიდეთ მანქანა ათას ლარად და რამდენიმე თვის მერე გამყიდველი მოგადგათ, ორი ათასიც დამიმატეო, დაუმატებთ?

ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება და თითოეულ შემთხვევაში პასუხი ერთი გექნებათ — არაფერს დაუმატებთ! არ დაუმატებთ, რადგან კაცი სიტყვის პატრონობით ფასობს. სახელმწიფოც.

და თუ ძალას გამოიყენებს და წაგართმევთ, ამას უკვე რეკეტი და დაყაჩაღება ჰქვია. რეკეტი კი სახელმწიფოსიც შეიძლება არსებობდეს.

**გიორგი დარჯანია**



# ჩელსი კომისიის წინაშე

## კანონის დამრღვევი ქულებით დაისჯება

*„ლივერპულის" პასუხისმგებელმა შეფმა რიკ პერიმ განაცხადა, რომ კლუბი არანაირად არ გაყიდის სტივენ ჯერარდს, თუნდაც მასში 50 მილიონი გირვანქა შესთავაზონ*




თუ ემლი კოულის და ჟოზე მაურინიუს საიდუმლო მოლაპარაკება გახმაურდა...

**თუმცა**, პერიმ იქავე დაურთო, რომ „ჩელსის" ძალიან უნდა ჯერარდი და საბოლოო სიტყვა თავად ფეხბურთელს ეკუთვნის.

„სტივი ფულზე მაღლა დგას. ის ჩვენი მომავალია — თქვა პერიმ — თუმცა ისიც ვიცით, რომ ძალით აქ ვერ დავიტოვებთ. მან იცის ჩემი და რაფა ბენიტესის შეხედულებები. მისთვის უფრო დიდ რამეს ნიშნავს „ლივერპულთან" ერთად მოპოვებული ჯილდოები, ვიდრე სხვა კლუბთან ერთად გამარჯვება".

ყველამ იცის, რომ ზაფხულში „ჩელსი" 30 მილიონ გირვანქას შესთავაზებს „ლივერპულს" ჯერარდის სანაცვლოდ და ძნელი წარმოსადგენია, რომ თუ ჯერარდს წასვლა მოუნდა, ვინმემ დააკავოს. აქამდე, „ლივერპულის" კაპიტანი თავს იკავებდა.

მანამდე კი „ჩელსის" სხვაგანაც აქვს საბრძოლო: გეცოდინებათ, ეშლი კოულთან ჟოზე მაურინიუს საიდუმლო მოლაპარაკებებმა „არსენალის" გულისწყრომა რომ გამოიწვია. პრემიერლიგის კანონით, ტრანსფერის შესახებ კლუბმა მხოლოდ კლუბს უნდა ამცნოს თავისი აზრი და არა ფეხბურთელს.

„ჩელსი" არც უარყოფს და არც ადასტურებს კოულთან შემოვლით მოლაპარაკებებს და „არსენალმაც" პირდაპირ ხალიჩაზე დაიბარა აბრამოვიჩის ხალხი.

გაირკვა ისიც, რომ „ჩელსისა" და „არსენალის" წარმომადგენლებს პრემიერლიგის სამკაციანი კომისია მოუსმენს. ამ სალიგო კომისიას კი უსაზღვრო უფლებები აქვს — თუ კომისიამ დაადასტურა ზემოხსენებული ფაქტი, შესაძლოა, „ჩელსის" ქულებიც კი ჩამოაჭრან და ჟოზე მაურინიუ და შეფი პიტერ კინიონი დისკვალიფიკაციით დასაჯონ. ისიც კი შეიძლება, რომ კლუბი ლიგიდანაც მოკვეთონ. თუმცა, აქამდე საქმე ალბათ, არ მივა.

ამით რთულდება თავად ეშლი კოულის საქმე, რომლისთვისაც აქამდე არავის უკითხავს, შეხვდი თუ არა მაურინიუს შუა ლონდონში, ლესტერ სკვერზეო. ახლა კი კოულს მოწმედ დაიბარებენ და სიმართლეც მის ხელში იქნება.

არსენ ვენგერს არ უნდა, რომ კოული კომისიამ გამოიძახოს. შიშობს, რომ ამით კოულს პრობლემები შეექმნება და მისთვის მომზადებული ახალი კონტრაქტი არ ჩაუფლავდეს.

კომისია სასამართლო არ არის და ვერ დაიბარებს იმ სასტუმროს მუშაკებს, სადაც თითქოსდა შეხვდნენ კოული და ჩელსელები ერთმანეთს. თუმცა, წინასწარი შეხედულებით ცნობილია, რომ თუკი „ჩელსის" აქამდე არ უარუყვია შეხვედრის ამბავი, არც კომისიის წინაშე უარყოფს.

ეს უპრეცედენტო შემთხვევაა სალიგო კანონის დარღვევისა, ხოლო რომან აბრამოვიჩისთვის ყოველი ფულადი ჯარიმა სასაცილოა.

საქმეც ესაა, წავა თუ არა კომისია უფრო სერიოზულს სასჯელზე...

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჰალილჰოჯიჩი ბორდომდე გადაიდო

## ფრანსის გრაი ფულს საყვარლისთვის ხარჯავს

**„პარი სენ ჟერმენს"** 18 დეკემბრის შემდეგ აღარ მოუგია, გუშინწინ კი შინაურ „პარკ დე პრენსზე" „ლანსთან" დამარცხდა. ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი შესაძლოა, წამოაგდონ სამწვრთნელო სკამიდან, რომელსაც ორთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ სწორედ „ლანსთან" შეხვედრაში დაუბრუნდა.

პარიზელები შარშან მეორე ადგილზე გავიდნენ და ეს სეზონიც საჩემპიონო ამბიციით დაიწყეს, მაგრამ ჰოი, საოცრებავ — განთქმული ეს გუნდი ახლა მეთორმეტე ადგილზე ყელყელაობს.

სტუმრებმა პსჟ-ს ჟერომ ლერუას ჩინებული თამაშის წყალობით მოუგეს, რომელიც „ლანსში" პარიზული კლუბიდან გასულ ზაფხულს გაუშვეს. ანგარიში მისი პასით ალუ დიარამ გახსნა, მეორე ტაიმში კი მასპინძელ მცველთა დაბდურობით თავად ლერუამ იხეირა. ერთი სიტყვით, სწორედ ლერუაზეა ნათქვამი, უმადურობა ცხვირში ძმრად ადინაო.

პსჟ-ს პრეზიდენტმა ფრანსის გრაიმ ნამატჩევს თქვა: „კვირის ბოლომდე მწვრთნელის მოხსნას არ ვაპირებ. 13 თებერვალს თასის მატჩში „ბორდოს" ვხვდებით და იქაც თუ წავაგეთ, მერე ალბათ სხვა გზა აღარ გვექნება — ჰალილჰოჯიჩს გავუშვებთ, აბა რა იქნება. „ბორდოსთან" თამაშში საბოლოოდ გამოჩნდება, თუ რა შეუძლია გუნდს".

საინტერესოა, რომ ფრანსის გრაი და ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი ადრე „ლილშიც" ერთად მუშაობდნენ და ეს მცირებიუჯეტიანი კლუბიც ისე ააწყვეს, რომ ჩემპიონთა ლიგაც კი დააჭაშნიკეს. შემდეგ ერთად გადავიდნენ პსჟ-ში მაგრამ ახლა წყვილს დაშლა ემუქრება — ბოსნიელი მწვრთნელის ბედი „ბორდოსთან" მატჩზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება გრაის, პრეზიდენტი თავს მშვიდად გრძნობს და პარიზული კლუბის აქციათა კიდევ 34 პროცენტის ყიდვას ლამობს. „მიყვარს პსჟ და წასვლას არ ვაპირებ. საერთოდ, ოპტიმისტი კაცი და საკმაოდ ამბიციურიც ვარ. ასე რომ არ იყოს, ჩემს ფულს აქ ნაღდად არ დავაბანდებდი".

**მაშა ხუციშვილი**



ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს პსჟ-ს ქომაგებმა უსტვინეს

# ბედისწერა სერვეტი

## მოლდოვანის კარიერა სასამართლომ დაასრულა

*რუმინელმა ვიორელ მოლდოვანმა მოულოდნელად განაცხადა, მორჩა, ჩემი ფეხბურთელობა დამთავრდაო. „ალბათ ბედისწერაა, რომ კარიერას სამუშაოს დაკარგვის გამო ვასრულებ" — თქვა შეცბუნებულმა მოლდოვანმა, რომლის გუნდიც, „სერვეტი" გაკოტრდა და დაიშალა*



ვიორელ მოლდოვანმა, დასვენება მინდაო

**მერე** 32 წლის ფორვარდმა ერთ-ერთი რუმინული კლუბის წინადადებაც უარყო, თამაში აღარ მსურს, მწვრთნელად თუ დავბრუნდებიო. „ახლა ვისვენებ და ოჯახთან ერთად ყოფნა მინდა" — დასძინა ბუცებგახდილმა.

„სერვეტის" გაკოტრების ამბავი კი ჟენევის სასამართლომ შვეიცარიას გასულ პარასკევს ამცნო. რუმინელი ფეხბურთელი ამ გუნდში შარშან ფრანგული „ნანტიდან" გადავიდა.

ვიორელ მოლდოვანმა რუმინეთის ეროვნული გუნდის მაისურით გამართულ 68 მატჩში 25 გოლი გაიტანა. 1993-95 წლებში ბუქარესტის „დინამოში" თამაშობდა, შემდეგ შვეიცარიულ „ქსამაქსში" გადავიდა, საიდანაც „გრასჰოპერში" ამოჰყო თავი და მიჯრით ორი სეზონის განმავლობაში ლიგის მთავარმეგოლე იყო.

„გრასჰოპერიდან" ინგლისურ პრემიერლიგაში წასულმა „ქოვენთრიში" ცოტა ხნით იბურთავა და საფრანგეთში, „ნანტს" მიაშურა, რომელიც 2001 წელს მეტწილად მოლდოვანის გოლებით გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

და ერთიც. ვიორელ მოლდოვანს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც უთამაშია — 1996 წელს, იმ ავადსახსენებელ ამხანაგურ მატჩში, სადაც რუმინელებმა ალექსანდრე ჩივაძის დამოძღვრილი გუნდი 5:0 გაგვინადგურეს, მოლდოვანმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

**მაშა ხუციშვილი**

# ბოლო კი ლონდონშია?

**გერმანული** მედიის ცნობით, ჟოზე მაურინიუს მომავალი სეზონისთვის სავარაუდო შესაძენთა ნუსხაში მიხაელ ბალაკის გვარ-სახელიც ჩაუწერია.

მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველს კლუბთან კონტრაქტი წელიწადნახევრის შემდეგ უმთავრდება, რომლის გაგრძელების შემთხვევაშიც ბალაკი, რა თქმა უნდა, ჯამაგირის მომატებას მოითხოვს. მისი მადის დაკმაყოფილებას კი „ბაიერნი" სავარაუდოდ, ვერ შეძლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი ბუნდესლიგიდან აიბარგება.

„ცხადია, ჩვენ ძალიან გვსურს მიხაელ ბალაკის დატოვება, მაგრამ, როგორც ჩანს, რომან აბრამოვიჩს სახლში ფულის საბეჭდი დაზგა აქვს და ნებისმიერი ფეხბურთელის გადაბირება შეუძლია" — ამბობს უკმაყოფილო „ბაიერნის" გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი.

თავად გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა კი განაცხადა, ბუნდესლიგაში საკმაო დრო გავატარე და ურიგო არ იქნება, უცხოეთშიც მოვსინჯო რა შემიძლიაო.

**მაშა ხუციშვილი**




ფელიქს მაგათს შესაძლოა, მიხაელ ბალაკი გაექცეს




ანდრეი შევჩენკოს და ერნან კრესპოს გოლებმა „მილანი“ „იუვენტუსს“ ისევ ორი ქულით მიაახლოვა

# გამოვიდა შევჩენკო და...

## იტალია

### სერია A. XXIII ტური

**მილანი 2:1 ლაციო**

0:1 ოდო (56პ), 1:1 შევჩენკო (72), 2:1 კრესპო (90)
მილანი: დიდა, სტამი, ნესტა, მალდინი, კალაძე (სერჟინიო 60), გატუზო, პირლო, ზეედორფი (კაფუ 62), კაკა, კრესპო, ტომასონი (შევჩენკო 57)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლაციო: პერუცი, ოდო, ჯანიკედა, ფ. კოუტუ, სივილია, ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, დაბო, სეზარი (ლივერანი 31; სერიჩი 59), პანდევი (დი კანიო 76), როკი
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: ე. ფილიპინი, სტამი, კოუტუ, დაბო, როკი
მსაჯი: როზეტი
65 000 მაყურებელი

„ასეთი თამაშის მოგებას დიდი ძალა და მტკიცე ხასიათი სჭირდება — განაცხადა „შავ-წითლების“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ სერია A-ს 23-ე ტურის გუშინწინდელი გვიანი მატჩის, „მილანი“ — „ლაციოს“ დამთავრების შემდეგ.

და მაინც, როგორი თამაში იყო? — იკითხავს ქომაგი, რომელსაც ტელევიზიით „სან სიროდან“ გადმოცემულ რეპორტაჟს თვალი არ ან ვერ ადევნა.

როგორი და მილანელთათვის სანერვიულო, ვინაიდან „ლაციომ“ 56-ე წუთზე ანგარიში მასიმო ოდოს პენალტით გახსნა და მასპინძელთა თავს შავი ღრუბლებიც მოაქუჩა (შეგახსენებთ, რომ წინა დღეს ლიდერმა, „იუვენტუსმა“ პალერმოში წააგო და „შავ-წითლებს“ მიახლოების საშუალება მისცა), მაგრამ გაშვებული გოლის პასუხად ანჩელოტიმ მოედანზე ანდრეი შევჩენკო შეუშვა და უკრაინელმაც საქმეში ჩართვიდან თხუთმეტ წუთში ჩინებულად შესრულებული შორეული საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. რასაც ბოლოს, მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე არგენტინელი ერნან კრესპოს გამარჯვების გოლი მოჰყვა. ამ მოგებამ ჩემპიონი ლიდერს კვლავაც ორი ქულით მიაახლოვა.

ანჩელოტიმ განაგრძო: „ჩვენ ჯერ კიდევ უნდა ვისწავლოთ, რომ მოედანზე გადაადგილებებს მეტი სისწრაფე და ნაკლები ფაციფუცი სჭირდება. სხვა მხრივ კი ძალიან მიხარია, გუნდს გამოცოცხლებულს რომ ვხედავ, რადგან სულ რაღაც ერთი კვირის წინ მკვდრებივით ვიყავით“.

„ლაციოს“ თავკაცი ჯუზეპე პაპადოპულო კი, ბუნებრივია, უკმაყოფილო გახლდათ ასეთი უპირატესობის ხელიდან გაშვებით.

„თამაში არაჩვეულებრივად დავიწყეთ, ნახევარდაცვაში ბევრნი ვიბრძოდით, კაკას სივრცეებს ვუზღუდავდით და „მილანიც“ აშკარად შებორკილი ჩანდა, რის გამოც ჩვენი დაწინაურება ძალიან ლოგიკური იყო. საუბედუროდ, თამაშის ბოლო წამებზე იგივე დაგვემართა, რაც „რეჯინასთან“ შეხვედრაში — პირში ჩალაგამოვლებულნი დავრჩით. ეს საშინელებაა, რადგან „ლაციო“ თამაშიდან გამომდინარე გაცილებით უკეთეს შედეგს იმსახურებს“.

რაც შეეხება კახა კალაძეს, იგი შეიძლება ორი ეპიზოდის გამო მოვიხსენიოთ გამორჩევით: პირველი იყო პირველი ტაიმის მიწურულს, როდესაც კახამ კრესპოს მიაწოდა ჩინებული პასი, არგენტინელმა კი ხუთი-რვა მეტრიდან ისე დაარტყა, რომ ჯულიანო ჯანიკედას თავგანწირული მოქმედება დასჭირდა ბურთისთვის გზის გადასაღობად, ხოლო მეორე მისი სერჟინიოთი შეცვლა იყო.

**ბაბუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 23 | 15 | 5 | 3 | 38:14 | 50 |
| მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 41:16 | 48 |
| უდინეზე | 23 | 12 | 4 | 7 | 32:21 | 40 |
| ინტერი | 23 | 8 | 15 | 0 | 44:29 | 39 |
| სამპდორია | 23 | 11 | 5 | 7 | 26:17 | 38 |
| რომა | 23 | 9 | 8 | 6 | 42:34 | 35 |
| პალერმო | 23 | 9 | 8 | 6 | 22:16 | 35 |
| კალიარი | 23 | 9 | 6 | 8 | 33:36 | 33 |
| რეჯინა | 23 | 8 | 8 | 7 | 24:25 | 32 |
| ბოლონია | 23 | 8 | 7 | 8 | 25:22 | 31 |
| ლეჩე | 23 | 7 | 8 | 8 | 39:42 | 29 |
| ქიევო | 23 | 7 | 7 | 9 | 21:32 | 28 |
| ლივორნო | 23 | 7 | 6 | 10 | 25:30 | 27 |
| მესინა | 23 | 7 | 6 | 10 | 27:37 | 27 |
| ლაციო | 23 | 6 | 6 | 11 | 29:35 | 24 |
| ფიორენტინა | 23 | 5 | 8 | 10 | 21:30 | 23 |
| პარმა | 23 | 5 | 8 | 10 | 24:37 | 23 |
| სიენა | 23 | 3 | 12 | 8 | 21:33 | 21 |
| ბრეშა | 23 | 5 | 5 | 13 | 15:29 | 20 |
| ატალანტა | 23 | 2 | 8 | 13 | 16:30 | 14 |

# ბერლუსკონიმ ძოფი გააცოფა
## ნუ დაჩაგრავთ ფიორენტინას!

**ფლორენციული** „ფიორენტინას“ ჯერაც ახალმა თავკაცმა დინო ძოფმა ზედიზედ მეოთხე წაგების შემდეგ განაცხადა, თუ ასე გაგრძელდა, მზად ვარ, პოსტი მყის დავტოვოო.

საქმე კი აი, რაშია: გამოცდილი სპეციალისტი თავის მოთამაშეებზე არა, მაგრამ იტალიურ ფეხბურთში გამეფებულ სიბინძურეზე ყოფილა გაბრაზებული. პაპა დინოს თქმით, ყველა და ყველაფერი გრანდების, „იუვენტუსის“ და „მილანის“ საკეთილდღეოდ მოქმედებს. ძოფი განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ბოსებზე, სილვიო ბერლუსკონიზე და ადრიანო გალიანიზეა ნაწყენი.

რატომ? შეგახსენებთ. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ბერლუსკონი და გალიანი გადამეტებულად აკრიტიკებდნენ ძოფს და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც მან „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ცოტა ხნის წინ კი მილანურმა დუეტმა იტალიის საფეხბურთო ლიგის მომავალ პრეზიდენტად „იების“ მმართველს, დიეგო დელა ვალეს კანდიდატურა დაბლოკა.



„მათ არ სურთ ისეთი ტრადიციების მქონე კლუბის განვითარება, როგორიც „ფიორენტინაა“. ჩვენ ყველანაირად ხელს გვიშლიან, ასე გაგრძელება კი აღარ შეიძლება. მსაჯების ქცევაც უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. იმედია, სათანადო ორგანოები ზომებს მიიღებენ. სხვადასხვა კლანების სიმღერას თუ გავითვალისწინებთ, ეს ძალიან რთული იქნება“ — თქვა ძოფმა.

**გიორგი ძაძაბაძე**




**რუსულმა** „დინამომ“ პორტუგალიური „ბრაგას“ ნახევარმცველი ლუიშ ლოურეირუ შეიძინა. ტრანსფერი ოფიციალურად კვირის ბოლოს გაფორმდება. შეთანხმების დეტალები უცნობია გარდა იმისა, რომ მხარეები სამწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. აღსანიშნავია, რომ 28 წლის ლოურეირუ პორტუგალიის ჩემპიონატიდან მოსკოველთა მიერ მეშვიდე ნაყიდი ფეხბურთელია. სულ კი „დინამომ“ უკვე 30 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა.

**გერმანულმა** „ბაიერნმა“ ვეტერან ნახევარმცველ მეჰმეთ შოლთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. 34 წლის ფეხბურთელი მომავალ სეზონსაც „ოლიმპიაშტადიონზე“ გაატარებს. „მეჰმეთთან მოლაპარაკება ოდენ ხუთი წუთი გაგრძელდა. შესაბამისად, ჩვენც ძალიან კმაყოფილები ვართ და შოლიც“ — თქვა მიუნხენელთა პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

**იტალიური** „ატალანტას“ პრეზიდენტი ივან რუჯერი პოსტიდან გადადგა. როგორც იცით, ბერგამოელები სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ძალიან ცუდად გამოდიან და ერთი ლიგით დაქვეითება ფაქტობრივად, გარანტირებული აქვთ. იტალიური პრესის ცნობით, რუჯერის სავარაუდოდ, ამბიციური ბიზნესმენი ჯაკომო რანდაცო შეცვლის.

**ინგლისური** „საუთჰემპტონის“ მეკარე ანტი ნიემი დაახლოებით კიდევ 7-10 დღე ვერ ითამაშებს. მან უკვე გამოტოვა „ევერტონთან“ მატჩი და „არსენალთანაც“ ვერ დაეხმარება „წმინდანებს“. ფინელ მეკარეს მუხლის ტრავმა აწუხებს.

**გერმანული** „დორტმუნდი“ მომავალ ზაფხულს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვას აპირებს. კლუბის მმართველები, ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების სხვა გზებს ვერ ხედავენ. ტრანსფერზე დააყენებენ კრისტოფ მეცელდერსაც, რომელსაც უკვე მრავალი მსურველი ჰყავს. პერსპექტიული მცველით ყველაზე მეტად მილანის „ინტერია“ დაინტერესებული. ამბობენ, მეცელდერის სანაცვლოდ „დორტმუნდი“ დაახლოებით 8 მილიონ ევროს მოითხოვს.

**იტალიური** „პარმას“ ერთ-ერთი ინვესტორი შესაძლოა, მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი გახდეს. „პარმა“ უკვე რა ხანია, სერიოზულ ფინანსურ კრიზისშია და გადარჩენის გზებს ეძებს. „ენიო ტარდინის“ ბინადრებს სავარაუდოდ, კლუბის ყოფილი დირექტორი არიგო საკი დაეხმარება. ეს უკანასკნელი უკვე შეხვდა ფლორენტინო პერესს და შექმნილ ვითარებაში გაარკვია.

**გერმანელ** მეკარე შტეფან კლოსს მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების თქმით, სარეაბილიტაციო პერიოდი უპრობლემოდ ჩაივლის, მაგრამ კლოსი მინდორს მომავალ ზაფხულამდე მაინც ვერ დაუბრუნდება. 33 წლის მეკარე ჯერ კოლორადოში დასასვენებლად გაემგზავრება, თვის ბოლოსკენ კი მკურნალობის კურსს განაახლებს

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „მილანის“ ყოფილი ნახევარმცველი იბრაჰიმ ბა ფეხბურთს დაუბრუნდა. 31 წლის ფეხბურთელი ახლა შვედურ „იურგორდენში“ ვარჯიშობს. კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, გამოცდილი ბა „იურგორდენს“ ჩემპიონობის დაბრუნებაში დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ვეტერან ფრანგს „მილანის“ გარდა „მარსელში“, „ბორდოში“, „პერუჯასა“ და „ბოლტონში“ უთამაშია.

**იტალიური** „პარმას“ მეკარე სებასტიან ფრეის თქმით, იგი სიამოვნებით დაბრუნდება „ინტერში“, თუ მისგან წინადადებას მიიღებს. „პარმას“ დიდ პატივს ვცემ და აქედან თუ წავალ, მხოლოდ რომელიმე გრანდში. ჩემით არაერთი კლუბია დაინტერესებული და მიუხედავად აქაურობის დიდი სიყვარულისა, მომავალ ზაფხულს ალბათ დავტოვებ კიდეც „ენიო ტარდინის“. მსურველებს შორის კი მართლაც არის „ინტერი“, რომლის წინადადებასაც სიხარულით მივიღებ“ — თქვა 24 წლის ფრეიმ.

**ესპანური** „რეალი“ კვლავ ხოსე ანტონიო რეიესს უტრიალებს და ამბობენ, მომავალ ზაფხულს მადრიდელები „არსენალს“ რეიესის ოუენში გაცვლას შესთავაზებენო. საინტერესოა, რომ შემდგომში, „რეალში“ გადასვლა თავად „სევილიას“ ყოფილმა ფორვარდმაც არ გამორიცხა. თუმც, ორივე კლუბი ამ მითქმა-მოთქმას ჟურნალისტების მონაჩმახს უწოდებს.

**გერმანელი** ვეტერანი ფორვარდის, ოლივერ ნოივილის ეროვნულ გუნდში დაბრუნება გადაიდო. 31 წლის ფეხბურთელი საკმაოდ კარგ ფორმაშია და ძალიანაც სურდა, ისევ ნაკრების მაისურა მოერგო. ლუკაშ პოდოლსკის ტრავმამ ნოივილს შანსიც მისცა, მაგრამ „გლადბახის“ თავდამსხმელი თავად დაშავდა და არგენტინელებთან ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებს. იურგენ კლინსმანმა მის ნაცვლად ნაკრებში ჰანოვერელ თომას ბრდარიჩს უხმო.

**იტალიური** „რომა“ შესაძლოა, რომაელ ბიზნესმენ დანილო კოპოლას ხელში აღმოჩნდეს, რომელმაც შარშან ფრანკო სენსის ოჯახისგან 180 მილიონი ევროს ღირებულების ქონება შეიძინა და ახლა „რომას“ ყიდვაზეც ფიქრობს. სავარაუდოდ, სარფიანი წინადადების შემთხვევაში სენსი კლუბის გასხვისებაზე უარს არ იტყვის. „ჯერ არაფერი არ ვიცი. მოლაპარაკება არც კი დაწყებულა. უბრალოდ, გავისაუბრეთ ამ თემაზე. გარდა ამისა, სხვა აქციონერების აზრიც მნიშვნელოვანია“ — თქვა კოპოლამ.

## სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

# ქუჩას და ყაჩაღობას გამოქცეული

## ამბავი, ობოლი ბაიანოს სიღარიბისა

*არგენტინული „ბოკა ხუნიორსის" 28 წლის ბრაზილიელი მცველის, ბაიანოს ცხოვრება ერთი კარგი სათავგადასავლო ჟანრის სიუჟეტადაც გამოდგება.*

*მიერო დე კანელეისა — ქალაქი, სადაც ეს ოკეანისგაღმელი ბიჭი გაიზარდა, ბრაზილიაში ერთ-ერთი ულარიბესია. ბაიანოც მშობლების გარდაცვალების შემდეგ, მრავალრიცხოვან და-ძმებთან ერთად ქუჩაში აღმოჩნდა. იქ, სადაც მისივე თქმით, თუ გადარჩენისთვის არ იომებდი, შიმშილით მოკვდებოდი.*

*დღეს კი გამოცდილ ფეხბურთელს იქაური სპორტული მედია „ფოლადს" „სამართებელს" და „უტეხს" უწოდებს.*

*— მე ბრძოლა სულ სხვა ვითარებაში, სულ სხვა ხალხთან ვისწავლე. ასე, რომ დაპირისპირება ჩემთვის უცხო ხილი ნამდვილად არ არის" — თავიდანვე უთხრა ბაიანომ არგენტინული „ოლეს" კორესპონდენტს და ქვემორე ინტერვიუც ვინძლო წაიკითხოთ. საინტერესოს გვერწმუნეთ, აუცილებლად იპოვით...*



**— მშობლების გარდაცვალების მერე ქუჩაში აღმოჩნდით. ვიცი, ძალიან ძნელია იმ დროის გახსენება...**

— ახლობელი ადამიანების დაკარგვა ისეთი რამაა, გონებიდან არასოდეს რომ არ ამოვა. დედმამა სამ თვეში ერთიმეორის მიყოლებით გარდამეცვალა: ცხონებული მამაჩემი თამბაქომ მოკლა — იმდენს ეწეოდა, რომ ფილტვების კიბო ჰქონია. მალე დედაც დავკარგეთ, ცუდი საკვებით მოიწამლა, თანხის არქონის გამო ღარიბთა ჰოსპიტალში დავაწვინეთ და სამწუხაროდ, იქ ოპერაცია ზერელედ გაუკეთეს... მშობლები ჩვენი დამცველები იყვნენ და მათი სიკვდილის მერე პირველ ხანებში უკიდურესად გვიჭირდა. რაც დანაზოგი გვქონდა, ყველაფერი დაკრძალვასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა წაიღო. ფაქტობრივად, ქუჩაში დავრჩით. მერე მე და ჩემმა ძმებმა უფროს დას მივაკითხეთ — ორ ოთახში 14 ადამიანი ვცხოვრობდით. სასოწარკვეთისგან რწმენამ მიხსნა, ღმერთის დახმარებით სიმშვიდე მოვიპოვე. ბრაზილიაში, მსგავს ვითარებაში მყოფი ბიჭებისთვის ორი არჩევანია — ან რელიგია, ან ნარკოტიკები და ყაჩაღობა. მე რომელიც უკეთესი იყო ის ვარჩიე.

**— ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყავით, დღეს რას გააკეთებდით?**

— ნამდვილად არ ვიცი, ცხოვრება ფეხბურთის გარეშე როგორ უნდა ამეწყო. შეიძლება, ისევ მეხეტიალა, ან კიდევ... არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. სასმელი და მოსაწევი არასოდეს მიზიდავდა, ამათგან შორს ვიყავი. თუმცა კანელეისაში დანების და პისტოლეტების გარემოცვაში გავიზარდე და მაშინდელი ძმაკაცების გამო ალბათ მეც ბოროტმოქმედად ყოფნა მომიწევდა. განა იმიტომ, რომ იარაღის ტრიალი და ხალხის შეშინება მიყვარს, უბრალოდ, იქ ლუკმაპურს მეტწილად ასეთი წესით შოულობენ. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ არა ჩემი ძმები, დიდ ფეხბურთს ვერასდროს ვითამაშებდი. ისინი ყველანაირად მამხნევებდნენ, ქუჩური ჩხუბების დროს მიცავდნენ და საერთოდ, მათი წყალობითაა ცხოვრებაში რაღაცას რომ მივაღწიე. ახლა, როცა სახლში ჩამოვდივარ, ბიჭებისთვის „ბოკას" მაისურები და ჩემს შესახებ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიები ჩამომაქვს სამახსოვროდ.

**— თქვით, ქუჩაში უამრავი მეგობარი მყავდაო. ახლა ისინი რას საქმიანობენ?**

— იმით, ვისთანაც ერთად ბავშვობაში ფეხბურთი მითამაშია, ცუდად დაამთავრეს — ან ციხეში სხედან, ან მოკლეს და კიდევ უფრო უარესი — ისევ კანელეისაში ცხოვრობენ. სავარაუდოდ, ჩემი ბედიც ეს უნდა ყოფილიყო. მახსოვს, 12 თუ 13 წლის ვიყავი, სკოლიდან დაბრუნებულმა გზაზე ჩემი მეგობრის გვამი რომ ვნახე, ხელში რევოლვერი ეჭირა და 15 ტყვიით იყო დაცხრილული. ნახევარი საათის მკვდარი იქნებოდა საცოდავი, მთლიანად სისხლში ამოსვრილი ნაგავში ეგდო...

**— ალბათ, თავს ქუჩაში ვაჭრობითაც ირჩენდით...**

— მშობლების გარდაცვალებამდე ყველაფერი შედარებით კარგად იყო. დღეს რომ ვუფიქრდები, ბავშვობის დროინდელ ოინებზე ხანდახან გულიანადაც მეცინება. სიგარეტს და პროდუქტს მოხერხებულად ვასაღებდი და ჯიბის ფულიც ყოველთვის მქონდა. აი, სირთულეები მაშინ დაიწყო, როცა დედ-მამა დავკარგე — უცებ პატარა ბავშვი დიდ კაცად ვიქეცი, სხვა გზა არ მქონდა.

**— „ბოკაში" როგორ გეპყრობიან? უკვე ერთი თვე გავიდა, რაც აქ ხართ...**

— მწვრთნელ ჩინო ბენიტესით დაწყებული და უბრალო დამლაგებლით დამთავრებული, ყველა პატივს მცემს. კმაყოფილი ვარ, რადგანაც ბენიტესმა ჩემი ფეხბურთის განვითარების საშუალება მომცა. თანაგუნდელებიც შესანიშნავი ბიჭები არიან. და საერთოდ, ასე იოლად თუ შევეგუებოდი გუნდს, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

**— თავიდან კი „ბომბონერაზე" შეტევებში ხშირი ჩართვისთვის გაკრიტიკებდნენ...**

— რატომღაც პრესამ დაწერა, ბაიანომ „ინდეპენდიენტესთან" და „რივერ პლეიტთან" მატჩებში დაცვა მიატოვა და თანაგუნდელებიც უყვიროდნენ, შეტევას კი არა, კარს მიხედეო. ეს მართალი არ არის. საქმე ისაა, რომ მოწინააღმდეგე გუნდს კარგად არ ვიცნობდი და თამაშის სტილსაც სხვანაირს ვიყავი შეჩვეული — „პალმეირასში" იქაური მწვრთნელი წინ წასვლას არ მიშლიდა. „ბოკაში" კი ძირითადად პერსონალური მცველის ამპლუაში ვარ.

**— რამის თუ გეშინიათ?**

— როდესაც „სანტოსში" თამაში დავიწყე, პირველად ზუსტად იგივე მკითხეს, რაც „ბოკაში" პრეზენტაციის დროს — უნდოდათ გაეგოთ, მშიშარა ვიყავი თუ არა. ვუპასუხე, რომ საერთოდ არაფერზე ვღელავდი. შიში ჩემს ბავშვობაში დარჩა, ჯოჯოხეთურ სიღარიბესთან და იარაღის ტრიალთან ერთად. ზოგჯერ მეცინება კიდეც, გაზეთებში ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ პრობლემებზე რომ ვკითხულობ — ვიღაცა ტრიბუნაზე ფანების ღრიალმა დააფრთხო, ზოგმა თანაგუნდელებთან საერთო ენა ვერ გამონახა, ზოგი კონკურენციის სიძნელეს გაურბის. მერე რა, თუ სტადიონზე შეკრებილი 60 ათასი ინჩასი მხოლოდ შენ გიყვირის? ეს შიში არ გახლავთ. შიში ისაა, როცა 13 წლის ობოლი ღარიბთა უბანში მარტო იხეტიალებ.

**— გამოდის, „ბოკას" ქომაგების გულსაც ძალიან მალე მოიგებთ...**

— დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები ჩემი თამაშით ახლაც კმაყოფილნი არიან. „რივერთან", მთელი 90 წუთი ინჩადა ტაშით მამხნევებდა. თუმცა, ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, მათი კერპი უკვე ვარ, თუ არა.



# ბრანკომ ბილარდო, მარადონა და არგენტინა უსინდისობაში ამხილა

**და კვლავ** კარლოს ბილარდოზე და გახმაურებულ ამბავზე გვიწევს წერა...

ამჯერად კი ახალი ისაა, რომ ცნობილ „ბრანკოს საქმეს" სააშკარაოზე ბევრად მსუყე დეტალები გამოაქვს — 1990 წლის მუნდიალზე არგენტინელთა მწვრთნელის (ბილარდოს) მიერ ბრაზილიელი ფეხბურთელისთვის ძილის წამლებით გაჯერებული წყლის შეთავაზების ფაქტმა მაშინდელი მსხვერპლი, 42 წლის ბრანკო აალაპარაკა:

„მინდა, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ და ფიფამ ეს საქმე ბოლომდე გამოიძიონ და დამნაშავე საკადრისად დაისაჯოს. ჩემთვის კარლოს ბილარდო უბრალოდ, უსინდისო ადამიანია. ის და მისი მსგავსი პიროვნებები მსოფლიოს ფეხბურთს დიდ ზიანს აყენებენ. მატჩებს მუხლჩაუხრელი შრომით და მოედანზე თავდადებით იგებენ და არა ბნელი მაქინაციებით" — განუცხადა არგენტინულ „კლარინს" ბრაზილიის ეროვნული გუნდის ყოფილმა უკანახაზელმა.

ბრანკო დღეს თავისი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია. იტალიის 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან კი უკვე 15 წელწადი გავიდა, თუმც ბილარდოს მაქინაციათა მსხვერპლი ძველ წყენას ვერაფრით ივიწყებს:

„ვერ ვხვდები, თუ რაში დასჭირდათ არგენტინელებს ჩვენთან ასეთი ხერხის გამოყენება, მათ ხომ მუდამ შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავდათ. პირველი ტაიმის მეოცე წუთზე დიეგო მარადონა გაპრანჭულად წაიქცა. მოიგონა, თითქოს ჩვენებმა წესები დაარღვიეს... ამ დროს კი, როგორც წესი, მოედანზე არგენტინელთა მედპერსონალი შემოვიდა და მოწოდებული წყლის ბოთლიდან — გაითვალისწინეთ, რომ ბოთლებს სხვადასხვა ფერის თავსახური ეფარა — მე ერთ-ერთი დავლიე. მაშინვე ვიგრძენი, რომ წყალს განსხვავებული გემო ჰქონდა, თუმც ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მერე ლებინებამ და საშინელმა თავბრუსხვევამაც შემაწუხა. მოკლედ, საზიზღარი შეგრძნება იყო".

# აპაჩეს დაბადების დღე

## გაიტანე, გაიხარე, დალიე და იცეკვეა

**„კორინთიანსის"** ახალშეძენილი ვარსკვლავი კარლოს ტევესი გასულ შაბათს 21 წლის გახდა და დაბადების დღეც საკადრისად აღნიშნა — საჩუქარი თავად უძღვნა საკუთარ თავს, როცა „ინტერნასიონალს" შტატის ჩემპიონატის მორიგ მატჩში ულამაზესი გოლი შეუგდო. მერე ინჩასებს ტრიბუნასთან მიეჭრა და 10-ნომრიანი მაისურაც უფეშქაშა.

მოკლედ, კარლიტომ პირველი კორინთიანსული გოლით ძლიერ გაიხარა და მატჩის შემდეგ ჭკუამხიარულმა „აპაჩემ" (ტევესს ასეც ეძახიან) თანაგუნდელებთან ერთად სან პაულუში, იქაურ ჯადოსნურ კარნავალში მიიღო მონაწილეობა.

არგენტინული მედიის ცნობით, „ბოკა ხუნიორსის" ყოფილი ფეხბურთელი, ყველას გასაკვირად, ეშხიან მულატ გოგონებთან ერთად სამბას გვარიანად კარგად უბერავდა, რაიც პირველად მომხდარა მის ცხოვრებაში.

რა თქმა უნდა, საკარნავალო ნადიმის წევრებმა დალიეს კიდეც, ოღონდ ბოლოს ვინ, სად, ვისთან და როგორ გააგრძელა ცეკვა-თამაში, ვერაფერს გეტყვით.



კარლოს ტევესი

...და ან ცაზე ვარსკვლავები

# თეოფილო კუბილასი

*ჯარიმებს ის თავისებურად არტყამდა. იცით როგორ? ცოცხალ კედელს ბურთს ტერფის შიდა მხარის მორტყმით კი არ შემოატარებდა, გარეთა მხარეს იყენებდა. ალბათ, ჯარიმის მსოფლიო ოსტატთა გახსენება გაფიქრებინებთ, რომ პერუელს უხერხული მეთოდი ჰქონდა არჩეული. ასეა, ხომ? მითუმეტეს დღეს, როდესაც ამგვარ შესრულებას გამორიცხულია სადმე გადააწყდეთ. მაგრამ მე და თქვენ რაც არ უნდა ვთქვათ, თეოფილო კუბილასი თავის საქმეს ვირტუოზულად აკეთებდა და ამით სჯა და კამათი დასრულებულია*



# ნენე, იგივე ფენიქსი



„ბურთი რომ მოფრინავდა, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ კარს აცდებოდა, მაგრამ ბოლოწამს მოვიხედე და ის ბადეში აფართხალებული დავინახე" — იგონებს შოტლანდიელი მეკარე რაფი, ხოლო ჩვენ მოდით მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, პერუს საფეხბურთო ისტორიისთვის კი უმთავრესი გმირი, თეოფილო კუბილასი გავიხსენოთ.

თეოფილო კუბილასის დროს პერუს ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაში ჩვეულებრივი ამბავი იყო. თან, მხოლოდ მონაწილეობაზე არ არის ლაპარაკი, ორჯერ პერუელები რვა უძლიერესს შორისაც მოხვდნენ. იმ შეჯიბრებებში კუბილასმა ხუთ-ხუთი გოლი გაიტანა, ხოლო 1975 წელს პერუმ თვით კოპა ამერიკა მოიგო.

კუბილასს ნენეს ეძახდნენ, სრულად კი თეოფილო კუბილას არიაგა ჰქვია. მისი სახელი ეროვნული გუნდის გარდა, დაკავშირებულია პერუს უდიადეს კლუბ „ალიანსასთან", სადაც ნენემ 1964-1973, 1977-1978, 1984 და 1988 წლებში ითამაშა, თუმცა „ალიანსას" გარდა, მან შვეიცარიულ „ბაზელში", „პორტუსა" და ამერიკულ „ფორტ ლოდერდეილ სტრაიკერზშიც" გააგორა ბურთი.

აღსანიშნავია, რომ კუბილასი ბურთთან პირველი შეხებისთანავე გახდა ცნობილი. 17 წლისამ „ალიანსას" შემადგენლობაში ნამდვილი ჩემპიონატის მატჩი ითამაშა და სეზონის ბოლოს საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზი მიიღო. 20 წლისამ მსოფლიო სენსაცია გამოადნო — მან და მისი ლიდერობით შთაგონებულმა პერუელებმა მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე არგენტინის ნაკრები ჩამოიტოვეს და შინაც დატოვეს. ფინალურ ტურნირზე კუბილასმა კიდევ უფრო მეტი შეძლო — ერთ შეხვედრაშიც კი არ დაუტოვებია მოედანი უგოლოდ. ვისთან და როგორ, ახლა ალბათ აქტუალური აღარ არის, მაგრამ ის კი ნამდვილად სათქმელია, რომ მეოთხედფინალში პერუ ბრაზილიას გადაეყარა და ცხადია წააგო. რატომ არის ცხადი? იმიტომ, რომ ვიმეორებთ, 1970 წელი იდგა, პელეს და მისი უნიკალური გუნდის მეფობის ხანა. სხვა ამბავია, რომ ნენემ მაინც გაიტანა თავისი გოლი.

1973 წელს, დაახლოებით 150 ათას დოლარად, თეოფილო კუბილასი „ალიანსასგან" შვეიცარიულმა „ბაზელმა" იყიდა. პერუელი ბაზელში ჩავიდა და მიხვდა, რომ მისგან არც მეტი არც ნაკლები, სასწაულს ელოდნენ. ეტყობა ნაწილობრივ ამანაც დათრგუნა ჩვენი გმირი — ვერც სასწაული მოახდინა და მეტიც, ჩუმ და ნერვებისმომშლელად მოწესრიგებულ შვეიცარიულ ცხოვრებას ალლო ვერაფრით აუღო.

„საღამოობით მარტო ვრჩებოდი და თავქუდმოგლეჯვით შინ გაქცევის სურვილს ვებრძოდი. გარშემო ვერაფერს ვეგუებოდი. ვხვდებოდი ხალხს, რომელთაც ერთმანეთის პრობლემებზე ზრუნვა სისულელედ და აბსურდად მიაჩნდათ. ერთი სიტყვით, შვეიცარიაში მხოლოდ ფეხბურთის თამაშის კი არა, ღიმილის სურვილიც კი გამიქრა" — იგონებს დიდი პერუელი.

შემდეგ კი იყო პორტუგალია, კერძოდ „პორტუ", სადაც ხალხი კუბილასისთვის სრულიად გასაგებად იქცეოდა. იქ მან სამი წელიწადი გაატარა — თანაც ნახევარმცველად — და ერთ სეზონში 28 გოლი შეაგდო.

რაც შეეხება 1974 წლის მუნდიალს, აქ პერუ ვერ მოხვდა — ჩილესთან დაპირისპირებამ მესამე, დამატებითი მატჩი მოითხოვა და ის მატჩიც მეზობელთა გამარჯვებით დასრულდა. სამაგიეროდ, 1975 წლის კოპა ამერიკამ გაახარა პერუელთა გულები. იმ კოპაზე განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ნახევარფინალური მატჩი ბრაზილიასთან, რომელიც 3:1 დასრულდა და ნენემ ორი გოლი შეაგდო.

1978-ში, პერუ შესარჩევ შეჯიბრებას ღირსეულად გასცდა და კუბილასიც არგენტინაში კარგად მომზადებული ჩავიდა. ამის დასტურად ინებეთ: ჯგუფურ ეტაპზე შოტლანდიელებს ორი, ირანელებს კი სამი გოლი გაუტანა. ერთადერთი, რაც აქ შეიძლება დაზუსტდეს ის გახლავთ, რომ ხუთიდან სამი, ეგრეთწოდებული სტანდარტული მდგომარეობიდან გავიდა — ირანთან ორი პენალტი იყო, სქოთებთან კი ერთი ჯარიმა. ცნობისთვის: კუბილასი ამ დროს ისევ „ალიანსას" ფეხბურთელი იყო.

ასე და ამგვარად, პერუ მეორე ეტაპზე გავიდა, მეორე ეტაპი კი იმ წლიწადს ისევ ჯგუფური გახლდათ. აი, ეს კი პერუსთვის უკვე მეტისმეტი გამოდგა — პოლონეთთან, ბრაზილიასთან და არგენტინასთან სამი მატჩის ჯამური ანგარიში 0:10 გამოდგა.

ერთი სიტყვით, მეორე ეტაპზე ნენემ გოლი ველარ გაიტანა, მაგრამ ამის მიუხედავად, მსოფლიოს ჩემპიონატებზე უკვე 10 დაუგროვდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოთხი წლის შემდეგ მას გერდ მიულერის თოთხმეტგოლიან რეკორდთან შეეძლო შეთამაშება, თუმცა... ოთხი წლის მერე, ესპანეთში უკვე დაბერებული და კბილებდაცვენილი კუბილასი ჩავიდა.

1979 წელს ვეტერანი ამერიკის შეერთებული შტატების „ფორტ ლოდერდეილ სტრაიკერზში", ლეგენდარულ ფეხბურთელთან და ლოთთან, ჯორჯ ბესტთან გადაბარგდა და რაღა უნდა ლაპარაკი, რომ პირველივე წელიწადს „ოლ სტარზში" მოხვდა. შემდეგ წელიწადს „სტრაიკერზი" მეიჯორ სოკერ ლიგის ჩემპიონი გახდა, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ, ამერიკულ კარიერაში ყველაზე ვარსკვლავური რამ ჩაიდინა — „ლოს ანჯელეს აცტეკზის" კარში ოთხი გოლი შეაგდო, აქედან სამი 7 წუთსა და 14 წამში.

1983-ში, „სტრაიკერზი" გაკოტრდა და პროფესიული კლუბის სტატუსი დაკარგა, ხოლო ნენემ მინესოტაში გადასვლა დაიჭირა შორის. მიზეზი: ზურგი სტკიოდა. ისევ ძველ, თუნდაც გაკოტრებულ გუნდში ერჩივნა ნება-ნება ბურთაობა მწვრთნელობის შეთავსებით.

1986 წელს უკვე ფლორიდის ჩემპიონატის თუ რაღაც ადგილობრივი შეჯიბრების დონეზე წაიფაფხურა, შემდეგ კი საშინელება მოხდა: 1987 წლის მიწურულს ავიაკატასტროფაში დაიღუპა „ალიანსას" 16 ფეხბურთელი, მწვრთნელი, ექიმი და ხელმძღვანელობა. ჩემპიონატის ლიდერის ტრაგედიამ თავზე მეტი ხანი შეწყვიტა პერუს ჩემპიონატი — კლუბს, სხვა თუ არაფერი, ახალი მოთამაშეები უნდა შეერჩია — დაიზაფრა მთელი ქვეყანა, უამრავი ადამიანი ამოაგდო ცხოვრების რიტმიდან. ხოლო, როდესაც 1988 წლის 4 იანვარს, „კორონელ ბოლონიესის" წინააღმდეგ სათამაშოდ მოედანზე განახლებული „ალიანსა" გამოვიდა, ხალხმა მშობლიური და მართლაც დიადი ფიგურა, 38 წლის თეოფილო კუბილასი იხილა.

„მინდა, „ალიანსა" ფენიქსივით ფერფლიდან აღდგეს. ბედნიერი ვიქნები, თუ ამაში ჩემს წვლილსაც შევიტან" — თქვა მაშინ ნენემ. და, რამდენადაც შეძლო, შეიტანა.

**პაპუნა ქედია**






# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 17 | ბლეკპული-ოლდემი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 22:45 | 18 | ბრედფორდი-დონსხი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 29 | ბერი-შრიუსბერი | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 22:45 | 30 | მენსფილდი-სუონსი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 311 | ბრეჩინი-არბროთი | 1.4 | 4.2 | 5.8 | 1.04 | 1.12 | 2.43 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 158 | გრენობლი-კლერმონი | 2.05 | 2.8 | 3.8 | 1.18 | 1.33 | 1.61 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 251 | ესპანეთი-სან მარინო | 1.01 | 8.5 | 17.0 | 1.0 | 1.0 | 5.66 |
| 18:00 | 252 | მაკედონია-ანდორა | 1.05 | 7.0 | 14.0 | 1.0 | 1.0 | 4.66 |
| 18:00 | 253 | საბერძნეთი-დანია | 2.1 | 3.0 | 3.2 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 21:45 | 254 | ალბანეთი-უკრაინა | 3.3 | 3.4 | 1.95 | 1.67 | 1.22 | 1.23 |
| 23:45 | 255 | პანამა-გვატემალა | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 23:45 | 256 | კოსტა რიკა-მექსიკა | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 13:30 | 257 | იაპონია-კორეა | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 13:45 | 258 | უზბეკეთი-ს.არაბეთი | 2.15 | 3.2 | 3.0 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 14:05 | 259 | ს.კორეა-კუვეიტი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 18:35 | 260 | ბაჰრეინი-ირანი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:30 | 261 | ტრინიდადი-აშშ | 5.6 | 3.4 | 1.55 | 2.11 | 1.21 | 1.06 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 262 | მალტა(21)-ნორვეგია(21) | 7.5 | 4.0 | 1.3 | 2.6 | 1.1 | 1.0 |
| 20:00 | 263 | პორტუგალია(21)-ირლანდია(21) | 1.4 | 3.8 | 6.7 | 1.02 | 1.15 | 2.42 |
| 21:00 | 264 | თურქეთი(21)-ჩეხეთი(21) | 2.25 | 3.0 | 2.8 | 1.28 | 1.24 | 1.44 |
| 22:45 | 265 | ინგლისი(21)-ჰოლანდია(21) | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:45 | 266 | იტალია(21)-რუსეთი(21) | 1.5 | 3.5 | 5.8 | 1.04 | 1.19 | 2.18 |
| 23:00 | 267 | საფრანგეთი(21)-შვედეთი(21) | 1.5 | 3.5 | 5.8 | 1.04 | 1.19 | 2.18 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 268 | მალტა-ნორვეგია | 9.0 | 5.4 | 1.2 | 3.37 | 1.05 | 1.0 |
| 18:00 | 269 | ს.აფრიკა-ავსტრალია | 2.15 | 3.2 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 18:00 | 270 | აზერბაიჯანი-მოლდოვა | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 271 | სლოვენია-ჩეხეთი | 2.95 | 3.1 | 2.2 | 1.51 | 1.26 | 1.28 |
| 20:00 | 273 | ისრაელი-ხორვატია | 2.75 | 3.1 | 2.3 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| 20:00 | 274 | ბულგარეთი-სერბეთი | 2.2 | 3.1 | 2.9 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 21:00 | 275 | თურქეთი-ტუნისი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 22:30 | 276 | ირლანდია-პორტუგალია | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 22:45 | 277 | გერმანია-არგენტინა | 2.55 | 3.1 | 2.6 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| 22:45 | 278 | უელსი-უნგრეთი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 22:45 | 279 | ინგლისი-ჰოლანდია | 2.15 | 3.1 | 3.2 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 22:45 | 280 | ჩრდ.ირლანდია-კანადა | 1.95 | 3.2 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 23:00 | 281 | საფრანგეთი-შვედეთი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 23:00 | 310 | იტალია-რუსეთი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 18:00 | 312 | ეგვიპტე-ბელგია | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 313 | პოლონეთი-ბელარუსი | 1.5 | 3.4 | 6.8 | 1.04 | 1.22 | 2.26 |
| | | **ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 14:00 | 283 | საბერძნეთი(21)-დანია(21) | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| 14:00 | 284 | ალბანეთი(21)-უკრაინა(21) | 3.85 | 3.3 | 1.8 | 1.77 | 1.22 | 1.16 |
| 14:00 | 285 | უელსი(21)-გერმანია(21) | 3.9 | 3.3 | 1.8 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| 14:00 | 286 | ესპანეთი(21)-სან მარინო(21) | 1.02 | 8.0 | 15.0 | 1.0 | 1.0 | 5.21 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 309 | ვსეტინი-კლადნო | 3.3 | 4.3 | 1.6 | 1.86 | 1.07 | 1.16 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10253 | საბერძნეთი-დანია | 2.7 | 2.0 | 3.2 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10254 | ალბანეთი-უკრაინა | 3.5 | 2.0 | 2.5 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10255 | პანამა-გვატემალა | 2.5 | 2.0 | 3.7 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10256 | კოსტა რიკა-მექსიკა | 3.3 | 2.0 | 2.7 | 1.24 | 1.48 | 1.14 |
| 10257 | იაპონია-კორეა | 1.4 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.13 | 1.66 |
| 10258 | უზბეკეთი-ს.არაბეთი | 2.6 | 2.0 | 3.75 | 1.13 | 1.53 | 1.3 |
| 10259 | ს.კორეა-კუვეიტი | 1.4 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.13 | 1.66 |
| 10260 | ბაჰრეინი-ირანი | 2.85 | 2.0 | 3.6 | 1.17 | 1.59 | 1.28 |
| 10261 | ტრინიდადი-აშშ | 7.0 | 2.3 | 1.9 | 1.73 | 1.49 | 1.04 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12253 | საბერძნეთი-დანია | 1.6 | 2.0 |
| 12254 | ალბანეთი-უკრაინა | 1.7 | 1.9 |
| 12255 | პანამა-გვატემალა | 1.7 | 1.9 |
| 12256 | კოსტა რიკა-მექსიკა | 1.7 | 1.9 |
| 12257 | იაპონია-კორეა | 1.9 | 1.7 |
| 12258 | უზბეკეთი-ს.არაბეთი | 1.7 | 1.9 |
| 12259 | ს.კორეა-კუვეიტი | 1.9 | 1.7 |
| 12260 | ბაჰრეინი-ირანი | 1.7 | 1.9 |
| 12261 | ტრინიდადი-აშშ | 1.7 | 1.9 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16253 | საბერძნეთი-დანია | 1.5 | 2.2 |
| 16254 | ალბანეთი-უკრაინა | 2.5 | 1.3 |
| 16255 | პანამა-გვატემალა | 1.4 | 2.3 |
| 16256 | კოსტა რიკა-მექსიკა | 2.2 | 1.5 |
| 16258 | უზბეკეთი-ს.არაბეთი | 1.45 | 2.2 |
| 16260 | ბაჰრეინი-ირანი | 1.5 | 2.2 |
| 16261 | ტრინიდადი-აშშ | 3.2 | 1.25 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17253 | საბერძნეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17254 | ალბანეთი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17255 | პანამა-გვატემალა | 1.85 | 1.95 |
| 17256 | კოსტა რიკა-მექსიკა | 1.85 | 1.95 |
| 17257 | იაპონია-კორეა | 1.85 | 1.95 |
| 17258 | უზბეკეთი-ს.არაბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17259 | ს.კორეა-კუვეიტი | 1.85 | 1.95 |
| 17260 | ბაჰრეინი-ირანი | 1.85 | 1.95 |
| 17261 | ტრინიდადი-აშშ | 1.85 | 1.95 |

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11253 | საბერძნეთი-დანია | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11254 | ალბანეთი-უკრაინა | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11255 | პანამა-გვატემალა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11256 | კოსტა რიკა-მექსიკა | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11258 | უზბეკეთი-ს.არაბეთი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11260 | ბაჰრეინი-ირანი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11261 | ტრინიდადი-აშშ | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13253 | საბერძნეთი-დანია | 1.7 | 1.9 |
| 13254 | ალბანეთი-უკრაინა | 1.7 | 1.9 |
| 13255 | პანამა-გვატემალა | 1.7 | 1.9 |
| 13256 | კოსტა რიკა-მექსიკა | 1.7 | 1.9 |
| 13258 | უზბეკეთი-ს.არაბეთი | 1.7 | 1.9 |
| 13260 | ბაჰრეინი-ირანი | 1.7 | 1.9 |
| 13261 | ტრინიდადი-აშშ | 1.7 | 1.9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14253 | საბერძნეთი-დანია | 1.75 | 2.0 |
| 14254 | ალბანეთი-უკრაინა | 2.1 | 1.7 |
| 14255 | პანამა-გვატემალა | 1.75 | 2.1 |
| 14256 | კოსტა რიკა-მექსიკა | 2.0 | 1.8 |
| 14257 | იაპონია-კორეა | 1.15 | 2.6 |
| 14258 | უზბეკეთი-ს.არაბეთი | 1.75 | 2.1 |
| 14259 | ს.კორეა-კუვეიტი | 1.15 | 2.6 |
| 14260 | ბაჰრეინი-ირანი | 1.8 | 2.0 |
| 14261 | ტრინიდადი-აშშ | 2.5 | 1.3 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15253 | საბერძნეთი-დანია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15254 | ალბანეთი-უკრაინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15255 | პანამა-გვატემალა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15256 | კოსტა რიკა-მექსიკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15257 | იაპონია-კორეა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15258 | უზბეკეთი-ს.არაბეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15259 | ს.კორეა-კუვეიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15260 | ბაჰრეინი-ირანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15261 | ტრინიდადი-აშშ | 3.0 | 2.8 | 2.0 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „ბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# მოედანზე თუ არა, დისკოთეკაზე შევხვდებით

## სანიკიძემ და ცინცაძემ პერმი დაიმხეს

ქართული კალათბურთის ორი გამორჩეული ახალგაზრდა — გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძეეროვნულ ნაკრებში თანაგუნდელები, ცხოვრებაში კი კარგი მეგობრები არიან. პირველი რუსულ „ურალ გრეიტში“ თამაშობს, მეორე კი ფრანგულ „დიჟონში“. ეს გუნდები გასულ კვირას ფიბა-ევროლიგაში შეხვდნენ და მეგობრებს ერთმანეთის მონახულების საშუალება მიეცათ. შეხვედრა და დროს ტარება, იცოცოხლეთ, კარგად მოახერხეს, აი მოედანზე კი ელემენტარული მიზეზის გამო ვერ შეერკინნენ: პერმელებს ევროტურნირზე ლეგიონერთა ლიმიტი ამოწურული აქვთ და ცინცაძესაც მხოლოდ რუსული სუპერლიგით უწევს დაკმაყოფილება. ამიტომაც იყო, გიორგიმ ტრიბუნიდან რომ უყურა მეგობრის თამაშს, რომელიც მხოლოდ 6 წუთით გაიყვანეს მოედანზე და ამაზე გაბრაზებული სანიკიძე მწვრთნელის უკითხავად შეხვდა ცინცაძეს და პერმის ღამის ცხოვრებით დატკბა



— პერმში მეტად პრინციპული თამაში გვქონდა, რომელიც, სამწუხაროდ, წავაგეთ და ახლა ჯგუფიდან გასასვლელად ბოლო ტურში გამარჯვება გვჭირდება.

**— შენ ფიბა-ევროლიგის წინა ტურში საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშე ებრაულ „ნაპირიასთან“ და ალბათ პერმშიც იმედიანად ჩახველი...**

— რა თქმა უნდა. მეგონა, რომ საკმარისად მათამაშებდნენ, მაგრამ მწვრთნელმა რატომღაც მხოლოდ 6 წუთით გამიყვანა მოედანზე. 3 წუთი პირველ მეოთხედში ვითამაშე, სამიც მეორეში და არაფერი გამოფუჭებია, თუმცა მაინც სკამზე აღმოვჩნდი. თითო სამქულიანი და საჯარიმო ჩავაგდე, მაგრამ...

**— გიორგი ცინცაძეს, რა თქმა უნდა, ნახავდი...**

— ვნახე კი არა, მთელი ღამე მასთან და იგორ კიალცევთან გავატარე პერმის გასართობ კლუბებში.

**— დისციპლინა დაარღვიე?**

— დისციპლინა რა, არ დამილევია და არაფერი, უბრალოდ ღამე გავედი სასტუმროდან და გვიანობამდე ჩემს მეგობართან ერთად ვიმხიარულე.

**— მერე ეგ დასაშვებია ისეთი სოლიდური გუნდის წევრისთვის, როგორიც „დიჟონია“?**

— გუნდის მენეჯერმა იცოდა, რომ სასტუმროდან გავედი და არაფერი უთქვამს. ის მიხვდა, რომ მე მწვრთნელის უკმაყოფილო ვიყავი, რომელმაც მიუხედავად კარგი გარჯისა, მხოლოდ 6 წუთი მათამაშა. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მენეჯერიც მეთანხმება და თვლის, რომ არასწორად მომექცნენ. ამით არაფერი დაშავებულა, მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ კონკრეტულად პერმში არ მომექცა სწორად, მოგვეგო მაინც... ახლა კი ამ მწვრთნელს უშვებენ და ამით ყველა კმაყოფილია.

**— შენ ალბათ განსაკუთრებით გსურდა თამაში, რადგან ცინცაძის გუნდს ხვდებოდი...**

— ეს დამატებითი სტიმულიც იყო. გიო ტრიბუნაზე იჯდა და მასაც სურდა, საქმეში ვენახე. ისე, ცინცაძეს რომ ეთამაშა და მე სკამზე ვმჯდარიყავი, უფრო მეწყინებოდა. გიოს დავპირდი, თუ შენს წინააღმდეგ თამაშმა მომიწია, ერთი ლამაზად უნდა ჩაგიტენო-მეთქი...

**— მაშ ღამე გაიპარე სასტუმროდან და სად იყავი?**

— გიოს პერმელი ძმაკაცი ვიალცევია, რომელიც ძალიან კარგი ბიჭია და მასთან ერთად დისკოთეკაზე ვიყავით. მერე კი სტრიპტიზ ბარშიც შევიარეთ, აბა რუსი ლამაზმანების უნახავი ხომ არ წამოვიდოდი შუა რუსეთიდან. მოკლედ, კარგი დრო გავატარეთ, სულ გადამავიწყდა, რომ წავაგეთ.

**— დროის გატარება ძალიან გყვარებია, სან ანტონიოშიც არ იკლებდი ბარ-რესტორნებს...**

— მაშინ მიზეზი მქონდა, ტრავმირებული ვიყავი და ვარჯიში არ შეიძლებოდა. აი, ახლა რომ ჩავალ, სასეირნოდ ნაღდად არ მეცლება.

**— სან ანტონიოში აპირებ წასვლას?**

— სწორედ გასულ ხუთშაბათს დამირეკეს სან ანტონიოდან, ივნისში კემპს ვატარებთ და უნდა ჩამოხვიდეო.

**— რა კემპია და კიდევ რა გითხრეს, შენს გადაყვანას ხომ არ აპირებენ?**

— არა, მაგაზე ჯერ არაფერი უთქვამთ, მაგრამ თავად მე არ მინდა წასვლა, რადგან ვფიქრობ, ჯერ არ ვარ მზად, ნბა-ში რომ ვითამაშო.

**— აბა რას აპირებ მომავალი სეზონისთვის?**

— ვიქნები „დიჟონში“ და კლასს ავიმაღლებ, სან ანტონიოს სკაუტები კი დამაკვირდებიან და როცა საჭიროდ ჩათვლიან, ცხადია, წამიყვანენ. აბა, ტყუილად ხომ არ ამირჩიეს დრაფტზე?!

**ირაკლი პერტაია**

# ფაჩულიას დანაკვსული 13

**ხშირად** ხდება, რომ მწვრთნელზე გულაყრილი მოთამაშე სხვაგან მიდის და თავის ყოფილ გუნდს პირველსავე შეხვედრაში ამწარებს. ამის კარგი შანსი ჰქონდა გიორგი ცინცაძეს, რომელიც მწვრთნელ იგორ კიმთან გართულებული ურთიერთობის გამო ერთი თვის წინ „სამარადან“ პერმის „ურალ გრეიტში“ გადავიდა. ცინცაძის ყოფილი გუნდი გასულ შაბათს პერმში ჩავიდა რუსული სუპერლიგის მორიგი ტურის სათამაშოდ, თუმცა ქართველმა გამთამაშებელმა ჯავრი ვერ იყარა.

„ურალ გრეიტმა“ კი მოუგო „სამარას“, მაგრამ ამაში ცინცაძის წვლილი უმნიშვნელოა. არადა, გიორგის გულით სურდა თავის გამორჩენა და ალბათ ასეთი ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო ვერ გაილაღა. მას შანსი მიეცა, მაგრამ ქართველმა 5 უშედეგო წუთი გაატარა მოედანზე და კვლავ სათადარიგოებს შეუერთდა.

სათადარიგოობა დასჩემდა ცინცაძის თანატოლ მანუჩარ მარკოიშვილსაც, რომელმაც ლიუბლიანურ „ოლიმპიაში“ ამ ბოლო დროს თითქოს პოზიციები გაიმყარა, მაგრამ... „მანის“ არ უთამაშია ოლიმპიელთათვის გადამწყვეტი საევროლიგო მატჩი თელ ავივში, რისი წაგებაც საბედისწერო გამოდგა ლიუბლიანელთათვის.

„ოლიმპია“ ბოლომდე ეომა ევროლიგის მოქმედ ჩემპიონ „მაკაბის“, მაგრამ გამარჯვებას ვერ შესწვდა და ჯგუფში ჩარჩა. ლიუბლიანური კლუბის ქართველ ქომაგებს კი სანუგეშოდ ის დაგვრჩა, რომ ამჯერადაც საუკეთესო იყო ოლიმპიელთა ჩვენებური კაპიტანი ვლადიმერ ბოისა.

ვოვა არა მარტო ევროლიგაში, არამედ ადრიატიკულზეც ყოჩაღობს. მცირე შესვენების შემდეგ „ოლიმპიამ“ ამ ტურნირის ლიდერობა დაიბრუნა, ოღონდ ცხრილში პირველობის მოზიარედ კიდევ ორი გუნდი ჰყავს.

ლიუბლიანელებმა ამჯერად მაკედონიურ „შიროკის“ სძლიეს და ბოისამ 12 ქულასთან ერთად 4 შედეგიანი გადაცემაც მიითვალა, 5 მოხსნით კი საუკეთესო იყო თავისიანთაგან. ამ მატჩში გამოჩნდა მარკოიშვილი, რომელმაც 9 წუთში ერთი სამქულიანის მონადირება მოახერხა.

ამასობაში კი ფიბა-ევროლიგის ჯგუფური ეტაპიც სრულდება და ამ ტურნირში მონაწილე „ქართულ“ გუნდებს გადამწყვეტი მატჩები ელით. ვიქტორ სანიკიძის „დიჟონსა“ და შემონდ უილიამსის „უნიკსს“ ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში გამარჯვება სჭირდებათ, რათა პლეი ოფში გაძვრნენ. საქმე რომ ბოლო ტურამდე მიიყვანეს, თავიანთი ბრალია, ბოლო მატჩებში ორივე მათგანს ხელი მოეცარა.

დასანანად წააგო „უნიკსმა“, რომელსაც უკრაინაში „ბკ კიევმა“ სასწაული მატჩი შემოუტრიალა და ოვერტაიმში უშანსოდ დატოვა. ჩვენი ნაკრების შავკანიანმა გამთამაშებელმა თამაშისთვის განკუთვნილი 45 წუთი სრულად გაატარა მოედანზე და 16 ქულას 8-8 მოხსნა-პასიც მიაბა. დიჟონელებმა კი პერმში წააგეს „ურალ გრეიტთან“, რომელსაც გიორგი ცინცაძე ლეგიონერთა ლიმიტის გამო განაცხადში ვერ შეჰყავს. ვიქტორ სანიკიძემ 6 წუთი ითამაშა და „უნიკსს“ 4 ქულა ჩაუგდო.

გასულ კვირაში ოკეანგაღმიდან სულ კარგი ამბები მოდიოდა მილუოკელ ზაზა ფაჩულიას შესახებ, თუმცა ბოლო მატჩში მან სეზონის ერთ-ერთი ყველაზე უხეირო მატჩი ითამაშა. ახლახან იყო, ზაზამ 13 წუთში 13 ქულა რომ მოინაგრა, თუმცა „ვაშინგტონთან“ 3 დღის წინანდელ მატჩში 13-წუთიანი ბურთაობა 0 ქულითა და 0 მოხსნით დაასრულა. ჩავარდნები ზაზას სჩვევია, თვეში ერთი-ორჯერ გამოურევს ხოლმე და ამიტომ სანერვიულოც არაფერია.

თუ ვინმეზე უნდა ვინერვიულოთ, უპირველესად ნიკა ცქიტიშვილზე, რომელიც 5 წუთით თუ გაიყვანეს მოედანზე, უკვე გასაკვირიცაა. მას არც „დენვერის“ ახალი მწვრთნელი ჯორჯ კარლი სწყალობს და ალბათ ნიკა ისევ გუნდიდან წასვლას მოითხოვს.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | მაკაბი<br>შიროკი | ს<br>შ | 82:95<br>87:59 | 28<br>25 | 18<br>12 | 6<br>5 | 0<br>4 | 2<br>1 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | მაკაბი<br>შიროკი | ს<br>შ | 82:95<br>87:59 | არ უთამაშია<br>9 | <br>3 | <br>1 | <br>0 | <br>0 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. საფრანგეთი<br>ფიბა-ევროლიგა | ნანსი<br>ურალ გრეიტი | ს<br>ს | 58:86<br>74:87 | 6<br>6 | 2<br>4 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | ფიბა-ევროლიგა<br>სუპერლიგა (რუსეთი) | ბკ კიევი<br>ლოკომოტივი | ს<br>ს | 89:91<br>88:85 | 45<br>35 | 16<br>24 | 8<br>4 | 8<br>10 | 2<br>3 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ჰემოფარმი | შ | 69:65 | 13 | 2 | 2 | 0 | 1 |
| სერგო ათუაშვილი | შალონი | PRO A. საფრანგეთი | რეიმსი | შ | 102:75 | არ უთამაშია | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ურალ გრეიტი | სუპერლიგა (რუსეთი) | სამარა | შ | 98:94 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | დენვერი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | გოლდენ სტეიტი<br>პორტლენდი<br>ნიუ იორკი | შ<br>ს<br>შ | 107:91<br>94:97<br>96:76 | 4<br>არ უთამაშია<br>5 | 0<br><br>4 | 0<br><br>1 | 0<br><br>0 | 0<br><br>0 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | მინესოტა<br>კლიპერსი<br>ვაშინგტონი | შ<br>შ<br>ს | 91:86<br>92:90<br>94:112 | 21<br>22<br>13 | 9<br>9<br>0 | 3<br>9<br>0 | 2<br>1<br>0 | 0<br>0<br>0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

6 თებერვალი

**ტორონტო 113:122 დალასი**

ტორონტო: ბოში (29), როუზი (22), პიტერსონი (21), მარშალი (19)

დალასი: ნოვიცკი (30 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 4 დაფარება), ფინლი (23), ჰოვარდი (18)

**ფილადელფია 106:104 კლიპერსი**

ფილადელფია: აივერსონი (26), კორვერი (16), იგუდალა (15)

კლიპერსი: საიმონსი (27), ბრენდი (21), კამანი (18), როსი (15)

**ჰიუსტონი 103:102 ლეიკერსი**

ჰიუსტონი: მინგი (23), მაკგრეიდი (21), სურა (19 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი, 5 ჩაჭრა), ვესლი (19)

ლეიკერსი: ოდომი (22 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), ეტკინსი (21), ჯონსი (18 ქულა, 13 მოხსნა)

**მინესოტა 100:103 ბოსტონი**

მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ოლოვოკანდი (21)

ბოსტონი: პირსი (32), პეიტონი (22)



REUTERS

ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და დედოფალი სოფია ესალმებიან სოკ-ის კომისიის წევრ ფრენკ ფრედრიკსონს

# მადრიდი მაინც იმედოვნებს



REUTERS

სოკ-ის კომისიის წევრები მადრიდის სპორტის სასახლეში

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელმა კომისიამ, რომელმაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ 5 პრეტენდენტი ქალაქის პირობებისა და შესაძლებლობების დასადგენად ტურნე დაიწყო, თავისი პირველი სტუმრიანობა დაასრულა. კომისია, რომელსაც 400 მეტრზე თარჯრბრენში ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მაროკოელი ელ მუტავაკელე მეთაურობს, როგორც ვიუწყებოდით, თავდაპირველად მადრიდს ეწვია.

კომისიის წევრებმა, რომელთა შორის შვედეთის, ავსტრალიის და კანადის ორ-ორი, ხოლო ჰოლანდიის, ნამიბიის, ალჟირის, არგენტინის, სამხრეთ აფრიკის და სინგაპურის თითო წევრია, მადრიდში სტუმრიანობის პირველ დღეს მოულოდნელად ქალაქის სასტუმროების შესაფასებლად მათი დათვალიერება მოითხოვეს. თუმცა, ასეთი პუნქტი მათი ვიზიტის პროგრამაში არ იყო. მიუხედავად ამისა, დამხვდურებმა სრული მზადყოფნა გამოთქვეს და თხოვნაც შეუსრულეს. არადა, მასპინძელთა აზრით, სასტუმროების მდგომარეობა ოლიმპიური მადრიდის კონცეფციის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარეა.

ამას გარდა, კომისიის წევრებმა სატრანსპორტო კომუნიკაციების შესასწავლად სხვადასხვა მარშრუტით პოლიციელთა გაუცილებლად იმოგზაურეს, რათა მათ ვარგისიანობაში დარწმუნებულიყვნენ.

კომისიის წევრებმა დაათვალიერეს აგრეთვე მადრიდის ახალი ოლიმპიური სტადიონი „პეინეტა", რომლის სიახლოვეს ოლიმპიური სოფელი აშენდება; მათვე ნახეს რეკონსტრუირებული დედაქალაქის სპორტის სასახლე, საფეხბურთო სტადიონები „სანტიაგო ბერნაბეუ" და „ვისენტე კალდერონი", აგრეთვე საწყლოსნო სპორტის ცენტრი.

მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური კომიტეტი თავის ვერდიქტს მხოლოდ მაისში გამოიტანს, ესპანელები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ კომისიის წევრებზე სათანადო შთაბეჭდილება მოახდინეს და მაღალი შეფასების იმედიც აქვთ. სპორტულ გამოცემა „MARCA"-ს პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ მადრიდის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებმა ბრწყინვალედ ჩააბარეს გამოცდა, როცა შემფასებელი კომისის წევრთა ყველა კითხვას უპასუხეს და წარუდგინეს უმაღლესი დონის სპორტული ობიექტებიო. თუმცა, „MARCA" იქვე აღნიშნავს:

„და მაინც მადრიდს არა მხოლოდ მაღალი შეფასების იმედი უნდა ჰქონდეს, არამედ მან უნდა აჯობოს ლონდონის, ნიუ იორკის, პარიზისა და მოსკოვის პირობებს".

ჩვენ კი დავძენთ, რომ მადრიდი ამ ქალაქებზე რამდენიმე თავით მაღლა უნდა იდგეს, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივი დაიმსახუროს, რადგან ბარსელონამ 1992 წელს უკვე უმასპინძლა ამგვარ ასპარეზობას და ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთ მოკლე ხანში ესპანეთის რომელიმე ქალაქს ოლიმპიადა უბოძონ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ფრენით მოარული

*„ჩემი კარიერა დასრულდა. მორჩა, ამოწურული გახლავართ — გამოაცხადა რობერტ კორჟენიოვსკიმ, პოლონელმა მძლეოსანმა, რომელმაც ათენში, 50 კილომეტრზე სიარულში, ზედიზედ მესამე ოლიმპიური მედალი მოიპოვა. კორჟენიევსკის წილად დიდი პატივი ხვდა — ჯერ კიდევ მოქმედ სპორტსმენს ლეგენდარული და ყველა დროის საუკეთესო უწოდეს. წარმოგიდგენიათ, რამხელაა მთელი მსოფლიო? ჰოდა, ჯერ მსოფლიოში საუკეთესოობა რაოდენ საგანგებო ამბავია, რას ნიშნავს და როგორი ჯილდოა განგებისგან და მერე ყველა დროის საუკეთესოობა წარმოიდგინეთ...*



...სპორტული სიარული, თავის დროზე, უფრო სამხრეთ პოლონეთში გახლდათ პოპულარული და სწორედ ამ რეგიონში გადადგა ბრიუს ლის 13 წლის თაყვანისცემელმა რობერტ კორჟენიოვსკიმ პირველი ნაბიჯი. დავაზუსტოთ: რევმატული დაავადების გამო ექიმების დაჟინებით ის აუცილებლად უნდა გაჰყოლოდა სპორტს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა გულში ძიუდოისტობა ულოტინებდა. მისდა სამწუხაროდ, ძიუდოს დარბაზში მაინცდამაინც არ მოეწონათ და გარეთ გამოუშვეს, გარეთ კი, მხატვრულად თქმა რომ გავბედოთ, მძლეოსნობის ბილიკი იყო. ერთი სიტყვით, კორჟენიოვსკი მძლეოსნობის სექციაში მივიდა, ოღონდ თავიდან სირბილით დაიწყო.

1984 წლის იანვარში რობერტი პირველად „გაატარ-გამოატარეს" და მანაც პოლონეთის ჩემპიონატის შასარჩევ შეჯიბრებაში მესამე ადგილი მოიპოვა თუმცა იქ, ჩემპიონატში კორჟენიოვსკიმ ბოლო ადგილზე გასვლა იწვნია. შემდეგ წელიწადს მომავალი ვარსკვლავი უკვე სხვა ოსტატობით წარსდგა მძლეოსნობის ქომაგთა წინაშე და ოქროს მედალი მოიხდინა.

1990 წელს სპლიტში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი, სადაც კორჟენიოვსკიმ 20 კილომეტრზე სიარულში მეოთხე ადგილი დაიკავა და ამ წარმატებამ (ევროპაში მეოთხეობა, რომ წარმატებაა ამაში ვფიქრობთ ეჭვს ვერავინ შეიტანს) მას საბოლოოდ მძლეოსნობა გადააწყვეტინა.

„დიდებული დასაწყისი მქონდა, მაგრამ გამოუცდელი ვიყავი — იგონებს ლეგენდარული ჩემპიონი — ცოდნა მაკლდა, ცხვირი კი ძალიან მაღლა ავწიე. ერთი სიტყვით, ვარჯიშით აქა-იქ ვვარჯიშობდი, ხოლო როდესაც ვვარჯიშობდი დიდძალ დატვირთვას ვეჭიდებოდი და დავშავდი კიდეც".

ამა თუ იმ მიზეზით, 1992 წლის ოლიმპიადამ და 1993 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა წარუმატებლად ჩაიარა, რის გამოც მწვრთნელთან, კრიშტოფ კისიელთან ერთად გონს მოსულმა რობერტ კორჟენიოვსკიმ ახალი მიდგომების და ტექნიკის ათვისება დაიწყო.

„მაშინ ვისწავლე კრიტიკის მოსმენა და გათვალისწინება. კიდევ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთში გადასახლებაც. გარდა ამისა წვრთნის შესახებ ბევრი წიგნი წავიკითხე და მოთმენასაც მივეჩვიე".

და შეცვლილმა კორჟენიოვსკიმ მსოფლიოს 1995 წლის ჩემპიონატზე 50 კილომეტრიან დისტანციაზე მესამე ადგილი მოიგო. აი, მას მერე მან გაიმარჯვა ერთი გარდა მსოფლიოს ყველა ჩემპიონატზე, ყველა ოლიმპიადასა და ევროპის ყველა პირველობაზე.

აღსანიშნავია, რომ 50 კილომეტრზე უძლეველი პოლონელი 20 კილომეტრის დიდოსტატებსაც არ უდებდა ტოლს, თან, ბუნებრივი სისწრაფის გარდა მას დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობაც ჰქონდა — „ოციანებმა" იცოდნენ, რომ ის მათი დისტანციის შემდეგ კიდევ ოცდაათ კილომეტრზე ფრენით სიარულს იყო დაჩვეული. კორჟენიოვსკი მეტოქეს მუდამ სთავაზობდა ტემპს, თან ცხადია, ისეთს, როგორც თავად აძლევდა ხელს.

რობერტ კორჟენიოვსკის მწვრთნელთა მწვრთნელი და სახელის ოლიმპიადის დაემთხვა, როდესაც მან ოქროს მედალი, როგორც 20, ასევე 50 კილომეტრზე მოიგო თან, ნუ დაგავიწყდება, რომ ტრიუმფი 50 კილომეტრზე მისთვის ზედიზედ მეორე ოლიმპიური გამარჯვება იყო ცხოვრებისთვის: მანამდე, სპორტული სიარულის ისტორიაში, არ ყოფილა შემთხვევა ვინმეს ორივე დისტანცია ან ერთზე ზედიზედ ორჯერ მოეგო.

იყო თუ არა რობერტ კორჟენიოვსკი სტაბილური ფავორიტობაში? კითხვას ასე ვუპასუხებთ: ის 20 კილომეტრზე სიარულში პოლონეთის თხუთმეტგზის ჩემპიონია.

2004 წლის ნოემბრიდან რობერტ კორჟენიოვსკი საზოგადოებრივი სატელევიზიო სადგური TVD-ს სპორტის ბიუროს ხელმძღვანელია და დამოუკიდებელ არხზე იღებდა.

**ტუტა სიხარულიძე**

**ტიტულები**

1996, 2000, 2004 წლების ოლიმპიადების ჩემპიონი 50 კილომეტრზე. 2000 წლის ოლიმპიური ჩემპიონი 20 კილომეტრზე. 1997, 2001, 2003 წლების მსოფლიო ჩემპიონი (50კმ). 1998, 2002 წლების ევროპის ჩემპიონი (50კმ). 1996, 2000 წლების ევროპის ჩემპიონი (20კმ), 1991, 1993 წლების მსოფლიოს საუნივერსიტეტო თამაშების ჩემპიონი (20კმ), 1993 წლის დარბაზთა მსოფლიოს ჩემპიონი (5კმ), 50 კილომეტრზე მსოფლიო რეკორდის მფლობელი 3:36:03, 20 კილომეტრზე ოლიმპიური რეკორდსმენი (200 წელი, სიდნეი). 1:18:59



# ჭიდაობამ ნაკრებში შტატი გაზარდა

## ბეგი დარჩია ბაკურიანში წამყვანი სპეციალისტია



გურამ [illegible] ფოტო

**საქართველოს** ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა რომ ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ბაკურიანის შეკრებაზე წასვლა იუარა, გუშინ გაცნობეთ. რომ ამით ბიჭებმა თანამდებობიდან დათხოვნილ მთავარ მწვრთნელს ბეგი დარჩიას გამოუცხადეს სოლიდარობა და მთაში მანამ არ გაემგზავრებოდნენ, სანამ ფედერაცია დარჩიას თავის ადგილზე არ დააბრუნებდა. ნაკრების წევრები გუშინ დილითაც შეიკრიბნენ და „ფალავანთა კლუბში" ივარჯიშეს. ხალიჩის გარეთ კი არაფერი შეცვლილა. მხარეები მოსალაპარაკებლადაც არ დამსხდარან, რის გამოც ბაკურიანულმა სამზადისმა კიდევ გადაიწია.

„იმედია, ყველაფერი ამ დღეებში მოგვარდება — გვითხრა მსოფლიოს ჩემპიონმა მუხრან ვახტანგაძემ — სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამაოდ ველოდებით ჩვენი მოთხოვნის შესრულებას. ბეგი დარჩია ნაკრების თავკაცობიდან დათხოვნას არ იმსახურებს და ამას არაფრით შევეგუებით. ჯობს დროზე დაგვიბრუნონ, რათა ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილი დრო გუნდმა მაქსიმალურად გამოიყენოს."

კომენტარისთვის დარჩიასაც შევეხმიანეთ და ყველაზე დამაიმედებელი ინფორმაციაც მისგან მივიღეთ — ნაკრები ბაკურიანულ შეკრებას ამ დღეებში აუცილებლად დაიწყებსო, თუმც ნაკრების ექსთავკაცმა თანამდებობაზე დაბრუნების შანსებზე საუბრისგან თავის შეკავება არჩია.

ბეგი დარჩია: „პირველ რიგში მინდა, ვთქვა, რომ ჩემი ინიციატივით არაფერი ხდება. ვინც მიცნობს, მშვენივრად იცის, რომ მაგის კაცი არ ვარ. ვაღიარებ, გული მწყდება, რადგან ამ თაობას მთელი ჩემი ახალგაზრდობა შევალიე, მაგრამ რახან გამათავისუფლეს, დასაბრუნებლად ბრძოლას არ ვაპირებდი. ბიჭებმა შინ მომაკითხეს და მთხოვეს, მათ გვერდით დავმდგარიყავი. ამ დღეებში ვაკის დარბაზში ძველებურად მე ვავარჯიშე ნაკრები და ალბათ ბაკურიანშიც გავყვები. არანაირი უფლება არ მაქვს, ამ ბიჭებს ვუღალატო."

ყველაზე საინტერესო ჩვენთვის ფედერაციის პოზიცია გახლდათ, და ის იყო, პრეზიდენტთან შეხმიანება დავაპირეთ, რომ ფედერაციის პრესსამსახურის უფროს ზვიად შევარდენიძის ცხელ-ცხელი ინფორმაცია მივიღეთ.

ბეგი დარჩია საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დარჩება, ოღონდ წამყვანი სპეციალისტი ერქმევა, ხოლო მთავარ მწვრთნელობას ევროპის ჩემპიონატამდე კობა ჭიჭეიშვილი გასწევს. მისი ამ თანამდებობაზე დატოვება-არდატოვების საკითხი თურმე სწორედ აპრილის ბოლოს განიხილება.

წამყვანი სპეციალისტი ერქმევა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ყოფილ თავკაც ზაზა თურმანიძესაც, თუმც იქ მთავარ მწვრთნელად ყოველგვარი საცდელი ვადის გარეშე ზაზა ტყეშელაშვილი დაუმტკიცებიათ. ბოლოს ერთი ახალი თანამდებობის შესახებაც. ორივე სტილის მოჭიდავეთა ყველა ასაკის ნაკრებს სათავეში ლერი ხაბელოვის მწვრთნელი ვანო ნიკოლაძე ჩაუყენეს.

**ოთარ გაღლაძელიძე**

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს
მსოფლიოს ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის
ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჯემალ ბაკურაძეს
შვილის
ლევან ბაკურაძის
გარდაცვალების გამო





გერი ბეტმენი, რა თქმა უნდა, ჯიუტობს

# სიტყვა და უსაქმურობა

## ჰოკეის საათი წიკწიკებს

**განა შეიძლება**, რომ ორმა მოკლე, სულ ცხრა ასოსგან შემდგარმა სიტყვამ ასობით ადამიანი ისე გადაამტეროს ერთმანეთს, რომ მათ ლამის ნახევარი წლის განმავლობაში ვერ გამონახონ საერთო ენა და ამით კიდევ რამდენიმე მილიონი ადამიანი დაამწუხრონ? თურმე შეიძლება და ეს დამტკიცდა ლიგის მოთამაშეთა ასოციაციის მესვეურთა დაპირისპირებით. ხოლო ის ორი სიტყვა, რომელმაც ამდენი ვნებათაღელვა გამოიწვია არის — SALARY CAP, ანუ ხელფასების ზღვარია (ჭერი).

სამწუხაროა, მაგრამ ლიგასა და პროფკავშირს შორის ურთიერთობა ვერც ბოლო ორი კვირის განმავლობაში გამართულმა ინტენსიურმა კონსულტაციებმა შეცვალა და ვერც პარასკევს მოლაპარაკებაში მხარეების პირველი პირების ჩართვამ. არადა, მიუხედავად შექმნილი სიტუაციისა, ბეტმენის და გუდენაუს შეხვედრისგან მაინც ბევრს ელოდნენ, მით უმეტეს, რომ წინა დღეს მათი თანაშემწეები 9 საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ფაქტი ფაქტად დარჩა. ან ლიგამ უნდა შეძლოს „ჭერის" გარეშე ცხოვრება ან ნჰლპა უნდა შეეგუოს მას, სხვა გზა არ არსებობს.

„მხარეებს ბოლო ორი დღის განმავლობაში ინტენსიური კონტაქტი ჰქონდათ, რაღაც ახალი ვარიანტებიც მოვისმინეთ და შევთავაზეთ, რათა საერთო გამოსავალი მოგვეძებნა, მაგრამ, სამწუხაროდ, პროგრესს ვერ მივაღწიეთ და ეს დღევანდელი რეალობაა" — განაცხადა პროფკავშირის ბოსმა ბობ გუდენაუმ. ნჰლ-ს კომისიონერმა გერი ბეტმენმა კი თავი აარიდა კომენტარს, რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ის უკმაყოფილო დარჩა. მის ნაცვლად ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ბილ დეილიმ ისაუბრა. „ჩვენ ხანგრძლივი და კონსტრუქციული დიალოგი გვქონდა ორი დღის განმავლობაში. მართალია, მომდევნო შეხვედრის თარიღი არ დაგვისახელებია, მაგრამ კავშირის ხაზი მუდამ ღია გვაქვს" — როგორც ყოველთვის, დეილი უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

პარადოქსია, მაგრამ მორიგი მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემდეგაც კი არ აცხადებს ბეტმენი სეზონს გაუქმებულად. თავისთვის მან უკვე ყველაფერი გადაწყვიტა, ანუ SALARY CAP-ს ის ბოლომდე დაიცავს. ასე რომ, კვლავაც ყველაფერი მისი ოპონენტის, გუდენაუს ხელშია, თუმც ამ უკანასკნელსაც ბრწყინვალედ ესმის, რომ ლიგის პირობებზე დათანხმება პირველ ყოვლისა, სწორედ მისი წაგება იქნება და ამას მას არავინ აპატიებს. აი, სეზონის ჩაშლას კი ვინ აპატიებს, ეს კიდევ ცალკე კითხვაა. ისე, მოდით ყველაფერს მაინცდამაინც ერთ კაცს და ერთ მხარეს ნუ დავაბრალებთ.

ბოლოს, ერთი საინტერესო მოსაზრება, რომელიც წარსულში ცნობილმა ჰოკეისტმა, ახლა კი ჰოკეის ანალიტიკოსმა დენის პოტვინმა გამოთქვა. მისი აზრით, ახლა სეზონს მხოლოდ პროფკავშირის უკლებლივ ყველა წევრის, შესაბამისად რამდენიმე მოხელისა და 700-ზე მეტი ჰოკეისტის ფარული კენჭისყრა თუ გადაარჩენს. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ამაში რაღაც რაციონალური მარცვალი დევს. ცხადზე ცხადია, რომ ყველა ჰოკეისტი არ უჭერს ბოლომდე მხარს თავის ბოს გუდენაუს. თანაც ნჰლ-ში ხომ ყველა მულტიმილიონერი არაა, 300 და 500 ათასი დოლარიანი ხელფასის მქონე მოთამაშეებისთვის ასეთი ხანგრძლივი უსაქმობა სულაც არ არის სასიამოვნო. მეორე მხრივ, ვარსკვლავებმაც უნდა შეიგნონ, რომ მრავალმილიონიან ხელფასებს მათ მხოლოდ ნჰლ-ში თუ გადაუხდიან. ასე რომ, იქნებ გამოსავალი საერთო ძალისხმევით უფრო გამოიძებნოს.

ამასობაში კი ჰოკეის საათი წიკწიკებს.

**სამველ ლარიბიანი**



# მოღალატე ბარძაყი

**TORAY PAN PACIFIC OPEN**
ტოკიო. ხალიჩა
საპრიზო 1,3 მილიონი $

**ნახევარფინალი**

**ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 6:1, 7:6 (7:2); მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:1, 7:6 (7:3)**

**ფინალი**

**შარაპოვა — დევენპორტი 6:1, 3:6, 7:6 (7:5)**

წლის პირველი, ხოლო კარიერის მერვე ტიტულის მოსარეწად ციმბირში დაბადებულსა და ამერიკაში დალერწამქალებულ მარია შარაპოვას ამქრის პირველოსნისა და იმავდროულად ტურნირის ორგზის ჩემპიონ ლინდსი დევენპორტის დამორჩილება მოუხდა.

ლინდსიმ, ვისთვისაც ეს უკვე მეექვსე ტოკიოური ფინალი გახლდათ და ვისაც შანსი ჰქონდა, პენ პასიფიკის ერთადერთი ხუთგზის გამარჯვებული გამხდარიყო, ვარჯიშამდე მარცხენა ბარძაყი დაიზიანა და მთელი მატჩის განმავლობაში შესამჩნევად ფრთხილობდა. პირველ სეტში ის საერთოდაც ვერ დარბოდა და მაშამ ხელი 22 წუთში მოუთავა. მეორის დაწყებამდე კი მან ექიმთა დახმარებას მიმართა და ცოტა ჯანზე მოვიდა, ხოლო შარაპოვას თავის მხრივ რამსები აერია და იოლად მისათვლელი მატჩი სამ სეტზე დაუგრძელდა. ვერმორბენალი ლინდსი ნორჩ მეტოქეს იოლად არც გადამწყვეტ სეტში დანებებია და ეგ კი არა, აიდოსტზე სამი მატჩბურთის მოგერიებაც შეძლო, მაგრამ შარაპოვას მარაგში კიდევ ერთიც ჰქონდა და სწორედ იმის წყალობით იმარჯვა. არადა, გეხსომებათ, ახლახან გასრულებული ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში 17 წლის რუსგოგომ სწორედ სამი მატჩბურთის ვერგამოყენების შედეგად დათმო სერენა უილიამსთან.

მარია დიდი მოთამაშეა და დარწმუნებული ვარ, აქაურ ფინალში მას კიდევ ბევრჯერ იხილავთო, ასე ეუბნებოდა იაპონელ ჟურნალისტებს ლინდსი ნამატჩევს.

თავად მარიამ კი ამ მოგების შემდეგ 189 ათასი დოლარი ჩაიჯიბა და ზედ იმდენი სარეიტინგო ქულაც მიიღო, რომ უძლიერესთა ჩამონათვალში მეოთხიდან მესამე ადგილზე აინაცვლა.

# კონჩიტა ნასვლამდე აჯახუნებს
# მალისმა კი მაიმუნი ჩამოიფერთხა

**VOLVO WOMEN'S OPEN**
პატაია. მაგარსაფარი
საპრიზო 170 ათასი $

**ფინალი**

**კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) — ლინა გრიონფელდი (7, გერმანია) 6:3, 3:6, 6:3**

32 წლის კონჩიტა მარტინესს ორ საათი და ექვსი წუთი დასჭირდა საიმისოდ, რათა 13 წლით უმცროს გერმანელ ლინა გრიონფელდისთვის მოეგო და კარიერის 33-ე ტიტული მიეთვალა. შეგახსენებთ, რომ 1994 წლის უიმბლდონის ჩემპიონსა და 1995 წელს რეიტინგსიის მეორე ადგილამდე აღზევებულ ესპანელს რაგინდარა ტიტული 2000 წლის გერმანიის ღია პირველობის შემდეგ ველარ ეშოვა. წლეულს ის თავის უკანასკნელ სეზონს თამაშობს და კარგია, ამ ისე რა ტურნირის ჯილდოსაც რომ თან გაიყოლებს. რაც შეეხება გრიონფელდს, ეს მისი პირველი საკარიერო ფინალი გახლდათ და რაკილა ღონიერი გოგო ჩანს, ვინძლო, მომავალში კიდევ ბევრ ფინალამდე მიატანოს.

**INTERNAZIONALI DI LOMBARDIA**
მილანი. ხალიჩა
საპრიზო 323 250 ევრო

**ფინალი**

**რობინ სოდერლინგი (5, შვედეთი) — რადეკ შტეპანეკი (4, ჩეხეთი) 6:3, 6:7 (2:7), 7:6 (7:5)**

რობინ სოდერლინგი გახდა მესამე შვედი ბიორნ ბორგისა (1978) და სტეფან ედბერგის (1984) შემდეგ, ვინაც მილანურ ხალიჩაზე იმარჯვა. ეს მისი მეორე საკარიერო ტიტულია, პირველი კი, ეგებ თქვენც გახსოვდეთ, მან შარშან ასევე ჭერქვეშ, ლიონში მოიმკა.

**BELLSOUTH OPEN BY ROSEN**
ვინა დელ მარი. თიხნარი
საპრიზო 380 ათასი $

**ფინალი**

**გასტონ გაუდიო (1, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) 6:3, 6:4**

თუკი შარშანდლიდან ავითვლით, გასტონ გაუდიო თავის ზედიზედ მეხუთე თიხნარფინალში თამაშობდა და ამ ხუთიდან მხოლოდ მეორის მოგება შეძლო. შეგახსენებთ, რომ ესოდენ წარმატებული სერია მან შარშან როლანგაროსობის აოხრებით დაიწყო, მერე კი მიჯრით იძლია ბასტადურ, შტუტგარტულ და კიცბიუელურ ფინალებში. საკუთრივ ვინადელმარულ ფინალში კი მას 2001 წელს ეთამაშა (და გილერმო კორიასთან დამარცხებულა). ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა და ადგილობრივთა ჯილა ფერნანდო გონსალესმა მის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და, მართალია, 4 მატჩპოინტი მოუგერია, მეოთხე საკარიერო ტიტულის მოხვეჭაში ჩოგანი ბოლომდე ვერ შეუშალა.



REUTERS

კონჩიტა მარტინესი

**MILLENNIUM INTERNATIONAL CHAMPIONSHIPS**
დელრი ბიჩი. მაგარსაფარი
საპრიზო 380 ათასი $

**ფინალი**

**ქსავიე მალისი (3, ბელგია) — ირჟი ნოვაკი (2, ჩეხეთი) 7:6 (8:6), 6:2**

23 წლის ქსავიე მალისს აქამდე ექვს ფინალში ეთამაშა — აქედან ორჯერ იქვე, დელრიბიჩშივე — მაგრამ ვერ ექნა და ნავსი ვერ გატეხა. სწორედ ამიტომ იყო, გამოცდილი ირჟი ნოვაკის ძლევის შემდეგ რომ ამბობდა, ბოლო გათამაშების მოგებისას ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ზურგიდან მაიმუნი ჩამოვიგდეო. ერთადერთი მეჩოგნე, ვისაც კარიერის პირველი ტიტულის მოხვეჭამდე უფრო მეტ ფინალში წაეგო, ფრანგი სედრიკ პიოლინი იყო — ის, სანამ 1996 წლის კოპენჰაგენობაზე იმარჯვებდა, ცხრა ფინალში ეძლიათ. და კიდევ — რაკილა მალისმა თვისტომ ოლივე როხუსთან ერთად წყვილებშიც იპირველა, წლეულს პირველი მოთამაშე გახდა, ერთ ტურნირზე ორივე, საწყვილო და საერთეულო ტიტული რომ მოიპოვა.

**ლევან ძელაურაძე**

ჭადრაკი

# თებერვლის ბოლოს ფიდეს გვირაბში შუქი გამოჩნდება



**ფიდე** გამაერთიანებელი მატჩის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას 26-27 თებერვალს საპრეზიდენტო სხდომაზე გამოიტანს. შეგახსენებთ, რომ ამ მატჩის სანახევარფინალო შეხვედრაში ერთმანეთის წინააღმდეგ მსოფლიოს მე-13 ჩემპიონ გარი კასპაროვსა და ფიდეს გამარჯვებულ უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვს უნდა ეთამაშათ. თუმცა, მოგეხსენებათ, შეხვედრის ადგილი და დრო რამდენჯერმე შეიცვალა და ამით აღშფოთებულმა კასპაროვმაც თამაშზე საერთოდ უარი განაცხადა.

ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვის თანაშემწემ ბერიკ ბალგაბაევმა რუსულ ვებგვერდ „LENTA.RU-სთან" ინტერვიუშიც სწორედ ამ თემაზე ისაუბრა: „როგორც იცით, კასპაროვმა თამაშზე უარი განგვიცხადა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მხარემ, რომელმაც გამაერთიანებელი მატჩის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა, საპრიზო ფონდისთვის საჭირო თანხის საბანკო გარანტიები წარმოგვიდგინა. ინციდენტის შემდეგ ჩვენ თურქეთის ჭადრაკის ფედერაციას დავუკავშირდით და ვკითხეთ, სურდათ თუ არა კვლავ მატჩის მასპინძლობა, მაგრამ ამომწურავი პასუხი ველარ მივიღეთ" — განაცხადა ბალგაბაევმა.

„კასპაროვს ზედმეტები მოუვიდა, ორგანიზატორებისგან მოითხოვა, რომ საჭირო თანხა მის ანგარიშზე დროულად ჩარიცხულიყო. სწორედ ამიტომაც ჩაიშალა ადრე ეს მატჩი დუბაიშიც. ორგანიზატორები დათანხმდნენ კასპაროვის პირობებზე, თუმცა საპასუხოდ მოსთხოვეს, რომ ხელი მოეწერა კონტრაქტისთვის, რომელშიც თამაშების თარიღები იქნებოდა დაზუსტებული და დაეცვა ეს განრიგი. კასიმჯანოვი ამას დათანხმდა, კასპაროვმა კი იუარა. საპრეზიდენტო სხდომაზე ჩვენ ვიმსჯელებთ, მომავალში როგორც ვიცხოვროთ და ყველა პრობლემას გადავწყვეტთ" — ასე დაასრულა ბალგაბაევმა.

**ლუბა გეგეჭკორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ამერიკავ, მშვენიერო





კვირა საღამოს მთელი ამერიკა და მასთან ერთად მსოფლიოს გვარიანი ნაწილი ფლორიდის ქალაქ ჯექსონვილს უცქერდა, რადგან სწორედ იქ გაიმართა XXXIX სუპერბოული. „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსმა“ „ფილადელფია იგლზი“ დაამარცხა (24-21) და ამიტომაც, კლუბის პატრონმა, რობერტ კრაფტმა ამაყად ასწია „ვინს ლომბარდის“ ტროფეი, სუპერბოულის გამარჯვებულს რომ ერგება. სხვაფრივ კი, სუპერბოული, როგორც ყოველთვის ამერიკული კულტურის და ყოფის გამოხატულება იყო. იქ იყვნენ ძველი პრეზიდენტები, ბუში-უფროსი და ბილ კლინტონი; ასევე სერ პოლ მაკარტნი და ჩვენგან დავიწყებული „ერს, ვინდ ენდ ფაიას“ ჩარლი დენიელსი თავისი თეთრი წვერით; ასევე, გრემის მომგები ალისია კეისი, რომელმაც „ამერიკავ, მშვენიერო“ იმღერა. მართალია რომ ჯანეტ ჯექსონმა ძუძუ გადმოაგდო, ისეთი არაფერი მომხდარა. ბრწყინვალედ მოთამაშე ფილადელფიელის დონოვან მაკნაბის (28) გარჯამ კი გუნდს მაინც ვერ უშველა.











სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ისაკარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, გიორგი დარჩიანი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge